F325 N 892

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 25 (78). ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 1945 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერშია

— ახალი ამოცანების წინაშე (მოწინავე).
— ვაჟა-ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.
— **გიორგი ქუჩიშვილი** — ომგადახდილებს (ლექსი).
— **ვიქტორ გაბესკირია** — სამი ლექსი (ნათესავებში, ზმანება, რაც აქ შევნიშნე).
— **ავეტიკ ისაკიანი** — ქართველი მგოსნის სიმღერა.
— გამარჯვების პარადი ეკრანზე.
— ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1944-45 წ. წ. (**სიმონ ჩიქოვანის** მოხსენება საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე).
— საბავშვო ჟურნალების განხილვა.
— **ივანო წულუკიძე** — **ავეტიკ ისაკიანი** (დაბადებიდან 70 წლისთავის შესასრულებლად).
— **ერ. ასტვაცატურიანი** — საინტერესო კოლექტივი.
— **გივი გოგიჩაიშვილი** — ხარაგოულის თეატრი.
— **ს. ცაიშვილი** — კირილე წუთისოფელი.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

ახალი ამოცანების წინაშე

23-25 ივლისს ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მწერალთა აქტივმა, პლენუმმა განიხილა 1944-45 წლებში გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქცია. სამამულო ომის წლებში შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები რამდენჯერმე იყო დისკუსიის საგანი. მომხსენებელმა ამ პლენუმზე — ამხ. ს. ჩიქოვანმა — რამდენიმე ახალი მომენტი შეიტანა მათს განხილვასა და შეფასებაში, აძასთან მწვავედ დააყენა ქართული ლიტერატურის დღევანდელი ვითარებიდან გადმომდინარე საკითხები. მოხსენება, ცხადია, არ წარმოადგენდა ყოველივე იმის გამოფენასა და განხილვას, რაც ამ წლებში შეიქმნა. ეს არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო. მომხსენებელი უმთავრესად შეეხო იმას, რასაც სიახლე შეაქვს ჩვენს მწერლობაში, რაც წინ სწევს და რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის ზრდისათვის.

პლენუმზე გამოირკვა და ცხადი გახდა ერთი მავნე ტენდენცია ზოგიერთი ჩვენი ხიბიერი სფეროს შემოქმედებაში, — ეს არის ჩვენი სინამდვილისაგან განპირების ცდები — ეგრეთწოდებულ უაღრესად „ინტიმურ“, „მარადიულ“ თემებზე გადასვლის ნიშნები, რაღაც უკიზხო, უძიზეო კაეშანითა და სევდით გამსჭვალვის ნიშნები. ტრფიალების, ბუნებია სილამაზის, სიკეთე-აიცოცხლის პრობლემები არასოდეს არ ყოფილან გამორიცხული საბჭოთა პოეზიის თემატური რკალიდან, მაგრამ ამ თემების ისეთი დამუშავება, როგორიც ეს გარდაუალ ეპოქების პოეტების მსოფლშეგრძნებასა და მსოფლმხედველობას ძეეფერება, მოსაწყენი და მოსაბეზრებელი ეპიგონობის გზასე აყენებს ჩვენს პოეტებს. უიმედობისა და უსასოების იერით ამ თემებზე ამეტყველება ბუნებრივი და ორგანიული არ არის ჩვენი დროის პროკურორთვის, თუ იგი ნამდვილად საბჭოთა პოეტია, ხოლო ნაწარმოები თუ ორგანიული და გულწრფელი არ არის, მამასადამე, არც მხატვრულია და მარტოოდენ იმას გვიჩვენებს, რომ პოეტს უკვე არაფერი არა აქვს სათქმელი და მხოლოდ საეკლესიოდ იმისება ჩაილდ ჰაროლდის ძოსასხამით.

რა თემაზედაც არ უნდა სწერდეს დღევანდელი პოეტი, იქნება ეს ძარადიული თუ სადღესასწაულო, სამოქალაქოსაზოგადოებრივი თემა, პოეტური ქმნილება უნდა ატარებდეს ჩვენი დროისა და ჩვენი ქვეყნის ვითარების უტყუარ ნიშნებს, ჩვენი დროისა და ადგილის კოლორიტს, უნდა გადმოგვცემდეს ჩვენი დიდი ეპოქის ჰაერით ძაუნთქავი ადამიანის განწყობილებებსა და ემოციებს. დროის ფერადებს და სურნელებას მოკლებული ნაწარმოები ძხოლოდ „ბიშველი აბსტრაქციაა, მხოლოდ უდღეუროდ დაბადებული ქმნილებაა, რომელიც ვერ აათრთოლებს თანამედროვე მკითხველის გულის სიმებს, ვერ გაუძლებს დროის გამოცდას და გამოქვეყნებისთანავე ჩაკვდება.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ჩვენი ხალხის სიყვარული სამართლიანად დაიმსახურა. ჩვენ მრავალი შემოქმედებითი წარმატება მოვიპოვეთ, მაგრამ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მარტო იმით, რაც აქამდე გავაკეთეთ. საჭიროა უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ ახალ ეტაპისათვის ლიტერატურაში.

ხანგრძლივი პაუზა ჩვენი მოწინავე პროზაიკოსებისა, რომლებიც ომამდე ბევრად უფრო ნაყოფიერი იყვნენ, დამაფიქრებელია. მწერლობის დავალებისა და სიმწიფის მაჩვენებელი, როგორც ეს სწორად აღნიშნა მომხსენებელმა, არის უმთავრესად ეპიური ჟანრი. არც ერთი სხვა ჟანრი, მათ შორის ლირიკაც, არ იძლევა ხალხის სამეურნეო-პოლიტიკურ მდგომარეობის და სულიერი ცხოვრების ჩვენების ისეთ ფართო შესაძლებლობას, როგორც ამას იძლევა რომანი, მოთხრობა და ნოველა.

ჩვენი მკითხველი მოწყურებულია ეპიურ ნაწარმოებებს ჩვენი დროის ადამიანებზე — მუშებსა და კოლმეურნეებზე, მეცნიერებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის ადამიანებზე, რომლებმაც იმის გამო, რომ მათ აღმოაჩნდათ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ვაჟკაცობა და სიმამაცე, მაღალი მიზნები და იდეალები, სულიერი სიმტკიცე ამ იდეალებისათვის ბრძოლაში შეასრულეს უდიდესი მისია, გააკეთეს ისეთი ისტორიული საქმე, როგორიც არ გაუკეთებია არცერთ ხალხს არცერთ ეპოქაში.

ასეთი ეპიური ნაწარმოებების შექმნა მეტად სერიოზული და სპასუხისმგებლო საქმეა. ეს მოითხოვს გულმოდგინე ინტენსიურ მუშაობას, სინამდვილის ღრმა დაკვირვებასა და საფუძვლიან შესწავლას, რაც წარმოუდგენელია თუ მწერალი განუყრელად ხალხში არ მოძრაობს, თუ ის ხალხის ჭირითა და ლხინით, მისი ტკივილებითა და სიხარულით არ ცოცხლობს.

თუ ჩვენ ამ ერთადერთ სწორ გზას ავსცდებით, თუ ჩვენ სინამდვილეს ზერელედ შევხედავთ, მივიღებთ სინამდვილის გაყალბებას, მრუდე სარკეში მის გარდატეხას, ცხოვრების დამახინჯებას, სწორედ ისეთ ვითარებას, როგორიც მოცემულია ამხ. აკ. ბელიაშვილის მოთხრობაში (იხ. „მნათობი“ № 6,1945 წ.)რომლის არასერიოზულობა და სიყალბე ძხილებული იყო პლენუმზე.

საერთოდ პლენუმზე ნაკლებად გაიშალა კონკრეტული კრიტიკა. ამხ. პ. შარიას შენიშვნა იმის გამო, რომ პლენუმები კონკრეტულად უნდა იხილავდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს და არ იხრებოდნენ თეორეტიულ განყენებულ მსჯელობისაკენ, მეტად საგულისხმო მითითებაა, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ სახელმძღვანელოდ უნდა მიიღოს.

უკვე სამი თვეა, რაც ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა. ის გარემოება, რომ ომი ჩვენი ხალხის ძლევამოსილი გამარჯვებით, ჩვენი სამართლიანი საქმის გაბარჯვებით დამთავრდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა მწერლობის დღის წესრიგიდან ძოხსნილია ის თემები, ის მოტივები, რომლებსაც ამუშავებდნენ საბჭოთა მწერლები სამამულო ომის წლებში. საბჭოთა მწერლობამ უნდა დახატოს სტალინური ეპოქის ადამიანის სულის სიდიადე, რომელიც მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩნდა სამამულო ომის წლებში. აქ კვლავ დიდი მისია აქვს შესასრულებელი საბჭოთა მწერლობას.

ჩვენ კვლავ უნდა გავაგრძელოთ საბჭოთა ადამიანების იდეურ-მორალური შეიარაღება ჩვენი მხატვრული შემოქმედებით. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ სიყვარული ჩვენი ძლევამოსილი ქვეყნისადმი, ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ამ ძლევამოსილების დასაყრდენი — ხალხთა სტალინური მეგობრობა, საბჭოთა ადამიანში ჩვენ უნდა ვზარდოთ ნაციონალური სიამაყის გრძნობა, შეგნება იმისა, რომ არასოდეს არცერთ სახელმწიფოს, არცერთ ხალხს კაცობრიობისა და მისი კულტურისათვის ისეთი ამაგი არ დაუდვია როგორიც დასდვა საბჭოთა ხალხმა,— არასოდეს არცერთ ხალხს ისეთი ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე არ გამოუჩენია, როგორიც გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა.

ამ დიდ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, ამ დიდ დანიშნულებას უნდა ამართლებდეს ჩვენი მწერლობა, აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყოველი მწერლის მთელი სულიერი ძალღონე, მისი ტალანტი და ინტელექტუალურ-მორალური შესაძლებლობა.

ბერლინის აღების მონაწილე მეომრებთან შეხვედრა თბილისის სადგურზე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ვაჟა-ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

9 აგვისტოს რუსთაველის სახ. თეატრის დარბაზში შესდგება დიდი ქართველი პოეტის —ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს პროგრამაშია:

შესავალი სიტყვა — ალ. აბაშელისა; მოხსენება — ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ — გერონტი ქიქოძისა. სიტყვებს წარმოსთქვამენ ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, დ. ბენაშვილი და ა. შანიძე. ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ: ა. აბაშელი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ს. ფაშალიშვილი. ვაჟას ნაწარმოებებს წაიკითხავენ მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, ც. ამირეჯიბი, თ. ბაქრაძე, ა. ვასაძე, ს. ზაქარიაძე. ვაჟას ლექსებზე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებს იმღერებენ მ. ნაკაშიძე, დ. ანდღულაძე, ბ. კრავეიშვილი, ა. ვარდიაშვილი, აღმოსავლური ინსტრ. ანსამბლი დალგაუკოვის ხელმძღვანელობით, ქ. ჯაფარიძე, გ. ბუღაძე, მთიულური ცეკვებს შეასრულებენ ნ. გუნია, შადური. შ. მშველიძის „ზვიადაურის“ (ტონ-ფილმი) ფონზე რადიო კომიტეტის დიქტორები წაიკითხავენ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლობას“ ლიტმონტაჟს.

როიალთან — დუნენკო; საღამო მიჰყავს ნ. ვაჩნაძეს.

საბჭოთა მწერლების ნაწარმოებნი ინგლისურ ენაზე

ინგლისიდან მიღებულია საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა კრებული სახელწოდებით „გზა დასავლეთისაკენ“, რომელიც გამოვიდა 1945 წელს.

კრებული შესდგება სამი განყოფილებისაგან. მასში მოთავსებულია ნ. ტიხონოვის, ო. ბერგოლცის, მ. სტელმახის, მ. ისაკოვსკის, მ. ალიგერის, კ. სიმონოვის, ა. პრიშელცის, ა. კოვალენკოვის, ს. მარშაკის, მ. გაჟანის, რასელ ზადეს, სულეიმან რუსტამის, ლ. ჩერნომორცევის, ა. სურკოვის, ანა ახმატოვას, მ. რილსკის, ი. ერენბურგი', ა. ფრენკელის, ს. შჩიპაჩევის, ე. დოლმატოვსკის, ი. სეელინსკის, ვ. ლებედევ-კუშანის, ვ. ზახარჩენკოს ლექსები და მოთხრობები.

ავეტიკ ისაკიანი

ქართველი მგოსნის სიმღერა

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1926 წლის სექტემბერში, ევროპიელან პირველად ვბრუნდებოდი სამშობლოში. ძატარებელმა ზათქითა და კვილით დატოვა ბათუმი, გაჰყვა შავი ზღვის მოქარგულ ნაპირებს. იგი თანდათან საქართველოს გულისაკენ მიისწრაფოდა.

ფანჯარასთან ვოჯექ და ინტერესით ვათვალიერებდი გარემოს. ჩემთვის ყველაფერი მომხიბლავი იყო. ნაღვლიანად შევცქეროდი თოვლიანი მთების გრეხილს, ვცდილობდი დამეთვალა წვრილი და მსხვილი მწვერვალები, რომლებიც აჩრდილებივით მოგვდევდნენ და შემდეგ იკარგებოდნენ ცაში.

გავცქეროდი შეყვითლებულ მწვანე ხეებს იქით მოლივლივე მდინარეებს, რომლებიც ზღვისაკენ მიექანებოდნენ.

ერთი წუთით ჩერდებოდნენ ჩემ წინ თეთრი, ახლადაგებული შენობები და მყისვე იკარგებოდნენ.

ყურს ვუგდებდი თანამგზავრი ქართველების მხიარულ საუბარს, რომლის ბგერებს მშობლიურად განვიცდიდი, მაგრამ აფსუს, რომ აზრს ვერ ვხვდებოდი და ვტუქსავდი თავს, რომ არ მისწავლია ჩვენი მრავალსაუკუნიანი მეზობლის ენა.

განმარტოებით ვოჯექ და ფიქრით დავცურავდი ძველ მოგონებებში, რამდენ ქართველს ვიცნობ, თითო-თითოდ წარმოვიდგენდი მათ, სად და რა პირობებში გამიცვნია? წარმოდგენაში ცოცხლდებოდა ბევრი სახე.

მოვიგონე საქართველოს შესახებ წაკითხული წიგნები. მოვიგონე ქართული ლიტერატურიდან წაკითხული თხზულებანი: ყაზბეგის მთებით მსუნთქავი მოთხრობები, ბარათაშვილის თავაწყვეტილი ძერანი, ვაჟა-ფშაველას არწივისებური ყივილი; ვგრძნობდი, თითქოს ყურებში ჩამომძახოდნენ ქართველი ხალხის სიცოცხლით სავსე სიმღერები, რომლებიც იმდროიდან მახსოვდა, როდესაც მე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდამ, მთელი ათი დღე ვიხეტიალე საქართველოს სამხედრო გზაზე და ფუნდუკებში ვლადიკავკაზიდან თბილისს მისვლამდე; ჩემ თვალწინ გაცოცხლდნენ იმ რომანტიკული ხეობების ქართველი ქალები, თვალუუეუნა და მოგოგმანე და მათი ცეკვა შვლის ნაბიჯების მსგავსად მსუბუქი.

სურამის გვირაბის შემდეგ ჩვენს ვაგონში შემოვიდა ერთი ბრმა აშული, ძოხეტიალე მგოსანი. გრძელი ჩონგური მხარზე ეკიდა, როგორც კაპარჭი რუსთაველის რაინდებს.

გული ძალუმად ამიფანცქალდა: დიდი ხანი იყო, ძალიან დიდი ხანი, აშუღი აღარ მენახა, ჩონგურის დაკვრა არ გამეგონა.

მეჩონგურეს წინ უძღოდა ერთი ბიჭი. მაშინვე ადგილი მისცეს აშუღს. დაჯდა. ჩონგური ამოიღო ბუდიდან, მომართა და დაიწყო დაკვრა. მღეროდა გზნებით, შთაგონებით, ცეცხლით. ჩემი თხოვნით ერთმა თანამგზავრთაგანმა რუსულად გადმომცა მგოსნის სიმღერის შინაარსი:

„მე დიდად უბედური ვარ, რომ არ შემძლია დავინახო შენი მშვენიერი სახე, ჩემო დედა საქართველოვ!

ამბობენ: შენი ცა იმზომ ლურჯია, რაზომ ლურჯიცაა ფირუზის ტბები ჩვენს მაღალ მთებში!

ახლა შემოდგომაა. შენი ტყეები ოქროთი შემოსილან და ოქროთი ვარაყდება ყველა ბილიკი.

და შენი შვილები დანავარდობენ მოოქროვილ ბილიკებით, ჩემო ლამაზო საქართველოვ!

მე ახლა მესმის შენი გულიდან ამოხეთქილი აღტაცების ხმები, ჩემო ტკბილო საქართველოვ!

მე ვისმენ შენს უშფოთველ სიცილს, შენი შვილების მხიარულ სიმღერას!

დიდმა დამხსნელმა — ლენინმა შემუსრა მეფის ბორკილები, რომლითაც შებორკილი იყო შენი ფეხები და ხელები.

ამწვანებულხარ და გაფურჩქნულხარ ახლა ჩემო, თავისუფალო საქართველოვ!

შენი ვენახები იშვებენ სიხარულით, შენი ქვევრები ავსილა ღვინით, შენი სკები კი — საამური თაფლით, ჩემო ბედნიერო საქართველოვ!

ახალგაზრდა, მამაც მებრძოლად გადაქცეულხარ ახლა, ჩემო ძველო საქართველოვ! წითელ დროშას აფრიალებ ახლა!

ვის შეუძლია შენი ყანების და თავისუფლების წართმევა შენგან, ჩემო მამაცო საქართველოვ!“

ძალიან ამაღელვა ხალხის მომღერლის ამ აღფრთოვანებულმა სიმღერამ. როდესაც წლების შემდეგ ვიგონებ ამ დროს, კვლავ იმ ტკბილი აღფრთოვანებით ვცხოვრობ, რომელიც მომცა ხალხის გულიდან ამოსულმა გულწრფელმა სიმღერამ.

1937 წ. ერევანი.

თარგმანი სომხურიდან ვ. შილაკაძისა.

გამარჯვების პარადი ეკრანზე

ამჟამად მოსკოვის კინოთეატრებში უჩვენებენ ახალ დოკუმენტურ ფილმს „გამარჯვების პარადს“, რომელიც გადაღებულია დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის საფრონტო ოპერატორების ჯგუფის მიერ რეჟისორების ვ. ბელიაევის და ი. პოსელსკის ხელმძღვანელობით. როგორც მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, ფილმი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

„არიან მოვლენები,—სწერს „პრავდა“ ამ ფილმის გამო,—რომლებიც მარად რჩებიან ხალხის მეხსიერებაში. ამ მოვლენათა რიგს ეკუთვნის გამარჯვების ისტორიული პარადი მოსკოვის წითელ მოედანზე“.

ეკრანზე პირველი კადრების გამოჩენისთანავე მაყურებლის წინ იშლება წითელი მოედნის დიდებული პანორამა. სწორ და თანაბარ, თითქოს ოსტატი მხაზველისაგან დახატულ კვადრატებად დაწყობილან ჯარები. კრემლის კედლების გასწვრივ აღმართული ტრიბუნები სავსეა ხალხით. სრულ 9 საათსა და 45 წუთზე კრემლდან გამოდიან ამხანაგი **სტალინი**, ამხანაგები **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, მალენკოვი, შვერნიკი, ვოზნესენსკი.** ისმის მქუხარე ტაში, როცა ამხანაგი სტალინი და მისი თანამებრძოლნი ადიან მავზოლეუმზე. ყველას თვალი სტალინისკენ აქვს მიპყრობილი. ამხანაგი სტალინი გულთბილად მიესალმება ხალხს. კიდევ უფრო ჰქუხს ტაში და მისალმების შეძახილები. სპასკის ალაყაფიდან პარადის მისაღებად გამოდის ცხენზე მჯდარი მარშალი ჟუკოვი; მოედნის შუაგულში მას ეგებება პარადის სარდალი—მარშალი როკოსოვსკი. მხურვალე ტაშის ცემით ეგებება ხალხი სახელგანთქმულ სტალინელ სარდლებს, რომელნიც ჩაუვლიან ჯარებს და ულოცავენ მათ გამარჯვებას. ჯარების შემოვლა დამთავრდა. მარშალი ჟუკოვი ადის ტრიბუნაზე, მიდის მიკროფონთან და მაყურებელი კვლავ ისმენს სიტყვას, რომელიც მან ისტორიულ პარადზე წარმოსთქვა. იწყება გამარჯვებული არმიის მარში. ერთი მეორეს მოსდევენ ნაკრები პოლკები—თითო-თითო პოლკი ყოველი ფრონტიდან. პოლკებს წინ უძღვიან დიადი გამარჯვების დიდებით მოსილი მარშლები და გენერლები—ფრონტების სარდლები.

„არის რაღაც ახალი,—სწერს მწერალი ნ. პოგოდინი,—წინა წლებისგან რაღაც განსხვავებული საფრონტო პოლკების ამ საზეიმო, ან როგორც წინათ იტყოდნენ, ცენტრმონიალურ მარშში. მოდის არმია, რომელმაც უკვდავჰყო თავი ისტორიაში უმაგალითო გმირობით. მაყურებლის სულში იბერება ამ მწყობრის, ამ მარშის, მანერის, სტილის რაღაც განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც ჰხიბლავს და იმორჩილებს ნაკლებ გამოცდილს და არასამხედრო ადამიანსაც კი“. კოლონას სცვლის კოლონა, ეკრანებიდან იმზირებიან ვაქაცური სახეები, ყოველ მეომარს მკერდს საბრძოლო ორდენები და მედლები უმშვენებენ. აი თავდება საბრძოლო მარში. ისმის დაფდაფის მკვეთრი ხმა, ტრიბუნას უახლოვდება მეომართა კოლონა. ყოველ მათგანს ხელში უჭირავს ძირსდახრილი გერმანული დროშა. ეს ნადავლი დროშებია, სწორედ ის დროშები, რომლებიც ჰიტლერს სურდა ზეიმით გაეტარებინა თავისი ჯარების გაუმართავ პარადზე მოსკოვში. მეომართა უეცარი შემობრუნება მარჯვნივ და მებრძოლნი ზიზღის გამომხატველი ეესტით მიწაზე აფენენ მტრის დროშებს. აი ეცემა ქვაფენილზე ჰიტლერის პირადი შტანდარტი, „მკვდარი თავის“ დიდებიების და ესესელთა სხვა რჩეული ნაწილების დროშები, რა მრავალმეტყველი აპოთეოზია ომისა! ყაჩაღური ბაირაღები ოგბასებური სვასტიკით, რომელთა აღმართვა ფაშისტ მესვეურებს უნდოდათ მსოფლიოს თავზე, ყრია მტვერში, გამარჯვებულთა ფეხთა წინაშე, ჰყრიან, როგორც გერმანული არმიის არნახული განადგურების და სამარადისო შერცხვენის სიმბოლო! აღარ არის ყაჩაღური ჰიტლერული სახელმწიფო, აღარ არის ბანდიტური ჰიტლერული არმია, აღარ არის წყეული ჰიტლერული „ახალი წესრიგი“.—ისინი გააცამტვეოა ძალერმა და ნათელმა ძალამ, ამ ძალამ, რომელმაც მოსკოვში მოიტანა და მავზოლეუმის წინ მიწაზე დაანარცხა დატყვევებული გერმანული დროშები.

შემდეგ მაყურებელი თანამიმდევრობით ხედავს კავალერიას, სატანკო და საარტილერიო პოლკებს თავიანთი შესანიშნავი საბრძოლო ტექნიკით. ფილმი მთავრდება წარმტაცი კადრებით, რომელნიც გვიჩვენებენ მოსკოვის ზეიმს ღამით. ამ ფილმის მნახველმა,—ამბობს რეცენზიის დასასრულს „პრავდა“,—არ შეიძლება გულითადი მადლობა არ უთხრას იმათ, ვინც უკვდავჰყო ეს ისტორიული მოვლენა ჩვენი თანამედროვეებისა და მომავალი თაობებისათვის.

გიორგი ქუჩიშვილი

ომგადახდილებს

ბობოქარ ბრძოლებს
რისხვით,
რუხრუხით
თქვენს თავზე
ბევრჯერ გადურბენია,

ბევრჯერ დაჭრილხართ
და ფოლად მკერდზე
სისხლი თქრიალით
ბევრჯერ გდენიათ,

მაგრამ გმირული
მხედრულ სიმედგრით —
ოხვრა არასდროს
აღმოგხდენიათ,

უძლეველ დროშით,
სტალინის დროშით
მტერი დამფრთხალი
წინ გიფრენიათ!

აჰა, აგიხდათ
წადილი წმინდა:
სივრცეს მოარღვევს
თქვენი ყიჟინა!

გაჰგმირეთ მხეცი
თვის ბუნაგში და
დიდების დროშებს
მოაფრენთ წინა!

ძმებო!
დაგვიდგა
დღე ნეტარული,
თქვენს დაბრუნებას
ზეიმობს ხალხი!

მოზღვავდა გრძნობა
და სიხარული,
დედა-თბილისი
ვაშას მოგძახით!

ვიქტორ გაბესკირია

სამი ლექსი

ნათესავებში

მე მაგონდება მათი ლხინი, ზღვისპირის ჰავა;
ზღვისპირად წასვლა და ყანები მათი ნათესი.
დიდი ხნის შემდეგ ჩამოვსულვარ მათ სანახავად,
შეგროვდნენ ჩემი მოხუცები,—ნათესავები.

დარდს აღარ ვუმხელ ძმის შესახებ. თავს აქაც ვძლიე.
მთელი საღამო შეიწირა ამბებმა წვრილმა.
და რაც უთქმელი დარჩა ჩვენში, იმათ მაგიერ
მე მთელი ღამე მიამბობდა ნაცნობი წვიმა.

ზმანება

ასეთი წუთი ვინ დამიარსა? —
როს ქარი, მთვარე ფიქრებში მხვევდნენ,
ვაკვირდებოდი ჩემს ფანჯარასთან
სურათებივით ამართულ მხედრებს!

ყველა ისინი სტუმრებად ვიცან.
წავლენ? მე იმათ ერთგულად ვრჩები.
ერთი მათგანი ქარს გაეცრიცა,
ენდებოდა და... ვეღარ ვარჩევდი.

აქ რაც შევნიშნე

აქ რაც შევნიშნე, სულ მცირე არის:
ცვარი, დაყრილი ბალახზე თვლები;
ჩამქრალ ბუხარში ძველი ნაცარი
და კალათაში ლეღვის ფოთლები;

გზა, სადაც მხოლოთ მწერი ირევა;
და მაინც ვამბობ: ბედნიერი ვარ!

უ. შექსპირის ნაწარმოებთა ახალი თარგმანები

ერეკლე ტატიშვილმა და ვახტანგ ჭელიძემ დაამთავრეს უილიამ შექსპირის ცნობილი პიესის „ქარიშხალის“ თარგმნა. ამჟამად ისინი მუშაობენ „სიზმარი ზაფხულის ღამეში“-ს თარგმნაზე, რის შემდეგ განზრახული აქვთ თარგმნონ შექსპირის ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ივ. მაჩაბელს არ უთარგმნია.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1944-45 წლებში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. სიმონ ჩიქოვანის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! მწერალთა კავშირის გამგეობის მიმდინარე პლენუმი მიძღვნილია წმინდა შემოქმედებითი საკითხებისადმი. ჩემი სურვილია ამ პლენუმზე განვიხილო უკანასკნელ წლებში დაწერილი ნაწარმოებები, მათი მხატვრული თვისებები გავარკვიო და მოკამათეთა დახმარებით ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობის ახალი გზები დავსახო. ამ მიზნის მისაღწევად მე ვეცდები შერჩევით განვიხილო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფაბეჭდილი მასალები. მე მინდა მხოლოდ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ, მთავარ მოვლენებს შევეხო და თქვენი ყურადღება მათზე შევაჩერო; გასაგებია, ჩემს მოხსენებაში ცალკეულ მოწინავე მწერალთა შემოქმედება არ იქნება განხილული. ჩვენ გვიხდება მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ მხატვრულ მიღწევების და ჩავარდნების აღნიშვნა, ჩვენი მწერლობის მხატვრული აზროვნების გარკვევა და მომავალი, მშვიდობიანი ხანის მწერლობისთვის სულიერად შემზადება.

ჩვენი მწერლობა მოწოდებული იყო დახმარებოდა მხატვრული სიტყვით საბჭოთა ხალხს ვერაგი, სასტიკი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, გამოეხატა ჩვენი ხალხის გაუგონარი შეუდრეკლობა და შემმართებლობა, გამოეხატა სულიერი წყობა საბჭოთა ადამიანისა, რომლის მეშვეობით მან დაამარცხა გერმანული სამხედრო მანქანის ძლიერება. ჩვენს მწერლობას უნდა დაესურათებინა ცეცხლში და კვამლში გახვეული საბჭოთა მეომარი, უნდა ეჩვენებინა თუ როგორ ხედავდა იგი დღეგვანდელ დღეს და მისი შინაგანი ბუნება რა რიგად ემზადებოდა გამარჯვების დღისათვის.

ჩვენ შემცდარი ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ ჩვენი ხალხის ეს სულიერი წყობა სრულყოფილად გამოხატა ჩვენმა მწერლობამ; ეს თვითკმაყოფილება და თაეის დამშვიდება იქნებოდა. მართალია, საბჭოთა მწერლობას აღმოაჩნდა მაღალი მორალური ღონე და მისი ძოქალაქეობრივი შეგნება მაღალი იყო; ბევრი საყურადღებო და დიდნშენნელოვანი ნაწარმოებები შეიქნა სამამულო ომის ხანაში. ჩვენც ვალდებული ვართ ვაღიაროთ მათი მხატვრული ზედგავლენა ჩვენს მკითხველზე. მაგრამ ჩვენი მწერლობის შესაძლებლობა ჯერ სავსებით არ გამომჟღავნებულა, ომგადახდილი საბჭოთა ადამიანის სულიერი წყობა ჯერ მხატვრულად არ არის აღდგენილი და ახლინი, ეხლა უფრო ღრმად და უფრო ეპიურად უნდა იქნეს ასახული ჩვენი ხალხის ძიერ გამოვლილი განსაცდელი და მის მიერ მოპოებული დიადი გამარჯვება. ჩვენი სინამდვილე უნდა იქნეს აღდგენილი მეტი მხატვრული სისრულითა და ოსტატობით. ჩვენ არასოდეს არ ვიზიარებდით ე. წ. „დისტანციის თეორიას“ და, რასაკვირველია, ჩვენ არ მოგვიცდია ომის დასრულებამდე, რომ ომაეს შესახებ გვეწერა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ახალ ეტაპზე გამარჯვებული ხალხის მწერლობა თითქო გავლილი ომის თემას არ დაუბრუნდება და მხოლოდ მშვიდობიანობის ხანის მხატვრულ დასაბუთებას შეუდგება. ეხლა განვლილი ოთხი წელი უკან დარჩა, იგი ჯერ მოგონებათ არ გადაქცეულა, ომგადახდილი ჩვენი მამული ყოველ ჩვენგანის ბიოგრაფიის ნაწილია. გუშინ ჩვენ ჭრილობანი გვტკიოდა, დღეს შუშდება ჩვენი ტკივილები და მხატვრის შთაგონებას შეუძლია მეტად გაძლიეროს თავისი აღმფრენა. ჩვენი ხალხის გამარჯვების რწმენა და საერთოდ სულიერი ოპტიმიზმი ყოველთვის გადახლართული იყო დიდ სულიერ დრამატიზმთან; საბჭოთა ადამიანის სამამულო ომის პერიოდში გამომჟღავნებული სულიერი ცხოვრება არც ისე უბრალოა, ლაპიდარული, როგორც ეს მრავალ ნაწარმოებში გვევლინება, არც ბრძოლის ეპიზოდების იმპრესიონისტული ჩანაწერები არის ტიპიური სურათები ჩვენი ცხოვრებისა. ისინი ჩვენი სინამდვილის ნამდვილ მხატვრულ ახსნას არ წარმოადგენენ; უმუალო შთაბეჭდილება, როდესაც შემოქმედის სულში მომშუფფოდება და მოგონებად იქცევა, მაშინ იბადება ნამდვილი მხატვრული აზროვნობა, მაშინ ჩნდება დამდგარი ღრმა გრძნობა და შთაგონება სიბრძნეს უახლოვდება, შემოქმედი, მართლაც, სულს ინჟინერად გვევლინება.

პოეტური აზროვნების განვითარება

ამხანაგმა **სტალინმა** მწერლობას სულის ინჟინერია უწოდა, ეს ბრწყინვალე ფორმულა ყოველთვის განსაზღვრავს მხატვრული სიტყვის ფუნქციას; მწერალი თუ სულის ინჟინერია, მან უნდა აღადგინოს სულიერი წყობა ჩვენი ხალხისა, რომლის სიდიადე განსაკუთრებით განვლილ გმირულ დღეებში გამომჟღავნდა. ამიტომ უკვე დროა მოწოდებითმა და დეკლარატულმა პოეზიამ გზა დაუთმოს ჩვენი სინამდვილის ამსახველ პოეზიას. სამამულო ომის ამსახველ საბჭოთა მწერლობაში უკვე შემჩნეულია პოეტური ოსტატობის ასეთი წინსვლა, მხატვრული აზროვნების ამგვარი განვითარება. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ისტორიულად განუკვეთა და ისტორიულობის დანახვა არის ის თვისება, რომელსაც ჩვენ წარსულში მხატვრულ ნაწარმოების მარადიულობას ვეძახდით, ყოველდღიური მოვლენის ისტორიულ დინამიკაში ხილვა აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს უკვდავების თვისებას და მწერლის სულის ინჟინერობაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული; სამამულო ომის ხანა მხატვრულ მწერლობაში არ არის გარდამავალი ოთხი წლის დროის ნაკვეთი. იგი უფრო მკაფიოდ, ნათლად და ხილულად გამომჟღავნებულია ჩვენი ხალხის სულის თვისებათა, ეს თვისებები ომამდე შემუშავდა საბჭოთა სახელმწიფოში და ომის ხანაში მისი გამოვლენა ბუნებრივი განვითარება იყო ჩვენი საერთო ცხოვრებისა. საბჭოთა ხალხის გმირული ხასიათი აღმოცენებულია და გაკვეთილია ომამდე და ომის შემდეგაც იგი აგრძელებს თავის მაღალ ტრადიციებს. სამამულო ომის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ჩვენი მხატვრული აზროვნება, მოწოდებითი ხასიათის სამღერები შესცვალა მაღალი განზოგადებული სახეების პოეზიამ.

ომის პირველ დღეებში **ი. გრიშაშვილმა** დასწერა ლექსი „ჩვენს დებს და დედებს“ და **შ. აფხაიძემ**—„ფიცი“. ეს ლექსები ჩვენი სინამდვილისადმი მიძღვნილი ლირიული გულწრფელობით აღსავსე გალობანი იყვნენ, ისინი გეზიბლავდნენ თავიანთი სიწრფელით და მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულით, თუმცა ორივე ლექსი დეკლარატიული და მოწოდებითი იყო. ხსენებული ლექსები მოწოდებითის ხასიათთან ერთად ინარჩუნებდნენ პოეტურ სურათოვნობას და ჩვენი ხალხის ზეგრის განწყობილებას გვიხატავდნენ. სამამულო ომის განვითარებაში პოეზიამ სცადა უკვე ბრძოლის ცეცხლში შეჭრა და საბრძოლო სინამდვილიდან ახალი სახეების გამოტანა. საბრძოლო ეპიზოდების მხატვრულ ილუსტრირებას შეეცდნენ ჩვენი პოეტები, ამგვარად დაიბადნენ ლექსები მიშაკოვზე და შალამბერიძეზე. მართალია, ეს ლექსები საბრძოლო სინამდვილეს გვისურათებდნენ, მაგრამ ისინიც მოწოდებით-ლაკატური იერის მატარებელი ნაწარმოებები იყვნენ. ცოცხალი სინამდვილე ჩვენს პოეზიაში ნაკლებად მეფეობდნენ. როდესაც მტერი მოუახლოვდა ჩრდილოეთ კავკასიის კალთებს, ჩვენი პოეზიის მოწოდებითი პათოსი კიდევ უფრო გაიზარდა და სამამულო ომის პოეტურ კულტურას კიდევ მეტი სიმძაფრე დაეტყო: ვერაგი მტრის კავკასიონის კალთასთან მოახლოებამ წარმოშვა სამი სიმღერა, სამივე მოწოდებითი, მაგრამ მკაფიო და მძაფრი პოეტური ხმების შემცველი. ეს ლექსებია: **ალ. აბაშელის** „არ მოუშვა დაჭკარი“, **ალ. მაშაშვილის** „მყინვარი“ და **ირ. აბაშიძის** „კაპიტანი „ბუხაიძე“. დასახელებულ ლექსებმა მიიპყრეს ჩვენი აუდიტორია და ჩვენს სულიერ ცხოვრებაში თავიანთი ნაპერწკლებით შემოანათეს. პირველი ლექსი მგზნებარე მიმართვაა მებრძოლი ხალხისადმი, მისი სიძლიერე სწორედ მოწოდებით პათოსშია გამომჟღავნებული და იგი გამიზნულია როგორც ტყვია და როგორც შაშანი, იგი მოწოდებითი ლექსია და მისი სქემატიურობა დაძლეულია სინამდვილის დრამატიული შეგრძნობით და ამღერებით. ალ. მაშაშვილის პოემა „მყინვარიც“ მოწოდებითია, ავტორის დეკლარატიული ხმა გართულებულია სიმბოლიური სახეებით და ლირიული სიუჟეტით. ცხოვრების სურათები ხსენებულ ნაწარმოებში შეცვლილია სიმბოლიური სახეებით და ამგვარად მოწოდებითი პათოსი ტრადიციულ სიმბოლოებშია ჩაქსოვილი. მაშაშვილის „მყინვარი“, მართალია, სქემატიურია და დატვირთულია განყენებული სახეებით, მაგრამ იგი მაინც პირველი ლექსია სამამულო ომის თემზე დაწერილი, სადაც სახეები და ლირიული სიუჟეტი სცვლიან უბრალო მოწოდებითი ხასიათს პოეზიას.

ი. აბაშიძის ლექსმა „კაპიტანი ბუხაიძე“ ჩვენში დიდი პოპულარობა მოიპოვა და იგი ჩვენმა ქვეყანამ ხალხურ სიმღერად გადააქცია. ეს ლექსი ირ. აბაშიძემ 1942 წელს დასწერა, ბრძოლის ველზე მიღებული უშუალო შთაბეჭდილების შედეგად. მებრძოლი იღუპება კავკასიის მისადგომთან და გარდაცვლილი მეომარი თავისებური მოწოდებით მიმართავს სამშობლოს დამცველ ხალხს, იგი მოუწოდებს მეომრებს მკერდით შეკრან დერბენტი და დარიალიც. ამ ლექსში ახალი მხატვრული თვისებაა გამომჟღავნებული და მოწოდებით ხასიათის მატარებელ ლექსში ჩვენი სინამდვილის სურათია აღდგენილი. მისი სუეტი ლოკალიზებულია. ლექსის მოწოდებითი თვისება პოეტურ სურათთან უშუალოდ არის დაკავშირებული; „კაპიტანი ბუხაიძე“ მოწოდებითი იერის მატარებელი პოეტური სურათია, იგი ფოლკლორული ინტონაციის მატარებელია და მისი გმირული სული ყოველი საბჭოთა პატრიოტისათვის მიმზიდველია. იგი თავის ბუნებით, პოეტური ინტონაციით შორეულად ენათესავება დუტუ მეგრელის ლექსს „მე პატარა ქართველი ვარ“, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ ლექსში გამოკვეთილია პოეტური სურათი და მისი პოეტური სურათის სიძლიერე მის მოწოდებით პათოსშია გამომჟღავნებული. იგი პლაკატური პრინციპით აშენებული პოეტური ნახატია, მაგრამ მიიც ომის პოეზიაში, „კაპიტანი ბუხაიძე“ პოეტის ნამდვილი გამარჯვებაა. სამშობლოსთვის თავდადებულთა ამღერებას წარმოადგენს აგრეთვე 43 და 44 წლებში დაწერილი ლექსები **გ. ლეონიძის** „არ დაიდარდო დედაო“ და **დ. გაჩეჩილაძის** „უკვდავების ძახილი“. გ. ლეონიძის ლექსი დაიწერა, როდესაც მტრის ურდოების უკუქცევა დაიწყო და გამარჯვების დღეების მოახლოება უკვე ნათელი გახდა. დასახელებულ ლექსში უკვე ახალი პოეტური ხარისხი გამოვლინდა. ლეონიძის ლექსში პლაკატურობა უკვე აცილებულია. თემა ლირიულ სუეტენი გახსნილია მრავალფეროვნად. მოწოდებითი პათოსის გარდა პოეტური ნახატი ფსიქოლოგიურ ნიუანსებითაც ხასიათდება. აქ სამშობლოს დაცვის თემა საბჭოთა ეროვნის უკვდავების თემას ორგანულურად უკავშირდება. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“-ში შენარჩუნებულია ის მოწოდებითი პათოსი, რომელიც ასე ძლიერია სამამულო ომის პირველ პერიოდის ლექსებში და აგრეთვე დამატებით ლირიულად გახსნილია საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო. ლექსში გამოხატულია მებრძოლის გმირობა და სიკვდილი, დედის განცდები და ბელადისადმი სიყვარული. ეს ყოველივე პოეტური ხმით შერწყმულია და ლირიულ სუეტში ოსტატურად ჩასმული. მისი პოეტური სურათოვნობა რეალისტურია და ზოგიერთი სტრიქონი მონუმენტალური. გ. ლეონიძის ლექსი გარეგნული ინტონაციის მხრივ ფოლკლორული იერის მატარებელია, მაგრამ მისი პოეტური სურათი იმდენად ლირიულია და ღრმა, რომ ლექსის ფოლკლორულობა კოლო შეუმჩნეველი რჩება.

დ. გაჩეჩილაძის ლექსი „ძახილი უკვდავებისა“ ხალხურ ინტონაციას დაშორებულია. იგი პოეტურ ოსტატობით მოდერნისტულ პოეტურ კულტურის ორბიტშია მოქცეული, მაგრამ მას აკლია ის პოეტური უშუალობა და რეალიზმი, რომლითაც ხასიათდება „არ დაიდარდო დედაო“. ლეონიძის ლექსი განსაზღვრულ გეოგრაფიულ ლოკალიდან ამოზრდილია, პოეტმა ნახა ტამანზე ქართველი მეომრის საფლავი, საფლავზე მხოლოდ სახელი „ლევანი“ იწერა. ამ კონკრეტულ შემთხვევიდან ნაბადა მისი ლირიული სუეტი, რომელმაც შემდეგ განზოგადებული სახე მიიღო. დ. გაჩეჩილაძის ლექსი კი უფრო განყენებულად დაბადებულია და მეტი იერი დაჰკრავს ლიტერატურიდან მიღებულ შთაბეჭდილებებისა. მაგრამ მისი პოეტური სურათები მაღალი შთაგონებით არის გამოკვეთილი, გმირის საბრძოლო აღსარება ძალზე დრამატიზირებულია, პოეტის ლირიულ ხმაში ორგანიულად ჩაქსოვილია საბჭოთა გმირის უკვდავების განცდა. პოეტის ლექსიკური მასალა ცხოველმყოფელია და მიმზიდველი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ნიჭიერ პოეტს დ. გაჩეჩილაძეს ხშირად შემოქმედებითი ინიციატივა აკლია. იგი, მართალია, ყოველ თემას ოვისებურად ამუშავებს, მაგრამ მისი შთაგონების აფეთქება ხდება არა ცხოვრებიდან მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებით, არამედ უკვე შექმნილ პოეზიიდან მიღებულ ასოციაციებით და ანალოგიებით; „ძახილი უკვდავებისა“-ში ნაწილობრივ იგრძნობა პოეზიაში ცნობილი სახეების გავლენა და შესეგფერება. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მას წინ უსწრებდნენ ი. აბაშიძის და გ. ლეონიძის ამავე თემაზე დაწერილი ლექსები. მაინც ლეონიძის და გაჩეჩილაძის ლექსებში შესამჩნევია ახალი პოეტური ხარისხი და თემის ღრმა და ფსიქოლოგიური გახსნა, პლაკატურობის დაძლევა და მანამდე არარსებული ღრმა პოეტური სახეებით ჩვენი სინამდვილის მხატვრული ასახვა და დადასტურება. დაახლოებით ასეთია ლირიული აზროვნების ევოლუცია—ერთი თემატიური რკალის გარშემო.

თუ ჩვენ დაუკვირდებით საბჭოთა სინამდვილეში დაბადებულს სხვა პოეტურ თემებს, დავინახავთ ჩვენი პოეტური კულტურის ასეთივე განვითარებას და ამაღლებას. თუ ავიღებთ ლექსებს წერილების სახით დაწერილთ სამამულო ომის პირველ წლებში და შევადარებთ **ილო მოსაშვილის** „ბარათებს“, **შალვა აფხაიძის** ან **კარლო კალაძის** ახალ ლექსებს, ჩვენ დავინახავთ ასეთივე განსხვავებას და მასალის ასეთივე ღრმა გახსნას. ილო მოსაშვილის „მისი ბარათი“ ასეთივე ახალი პოეტური ხარისხის მაჩვენებელია და მისი შეკავებული დრამატიზმი, ორგანიულად შერწყმულია ჩვენი სინამდვილის ყოველდღიურობასთან.

კონსტ. ჭიჭინაძის ლექსების ციკლი ლენინგრადზე ასევე განსხვავდება სამი წლის წინათ ჩვენი პოეტების მიერ დაწერილ ლექსებიდან, რომელნიც ლენინგრადისადმი იყვნენ მიძღვნილი. ამგვარად, ჩვენმა პოეზიამ სამამულო ომის პერიოდში განიცადა მხატვრული აზროვნობის განვითარება, მხატვრული სახეებია პლაკატური ფორმიდან იგი თანდათან ჩვენი სინამდვილის ღრმა ლირიულ ასახვას შეუდგა. განთავისუფლდა „ლუბოკის“ იერის პლაკატურ აზროვნებიდან. იგი განვითარდა და მიიღო სრულყოფილი პოეტური სახე.

პოეტური ეპოსი

სამამულო ომის ამსახველი ამგვარი ლირიული სურათების პარალელურად,—ჩვენშა დაიბადა სურვილი შექმნილიყო პოეტური ეპოსი, ჩვენი საბრძოლო სინამდვილის ეპიური ასახვა აუცილებელი გახდა: პოემა **გრ. აბაშიძემ** დასწერა „ძლევის ქედი“, — „კავკასიის დაცვის დიდი ეპოპეის დამსურათებელი პოემა. მან სცადა ქართველი ხალხის შვილების გმირობა სამამულო ომში ფართო ტილოზე გადაეტანა და ახალი მხატვრული სიცოცხლე მიეცა მისთვის. პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საფუძვლები შეუქმნა ახალ საბჭოთა პოემას. მის მიერ შექმნილმა ეპიურმა ტილოებმა გაამდიდრეს ჩვენი პოეტური კულტურა, თუ ავიღებთ ჩვენ გრ. აბაშიძის მეორე პოემას „გიორგი მეექვსეს“, რომელიც უფრო ნაიეურია თავისი პოეტური სამყაროთი, დავინახავთ, **რომ** ეს სუეტეის თხრობაა მთავარი, პატრიოტული ან სიყვარულის თემა თავგადასავლურ სუეტშია გაშლილი და ამიტომ **პოემაში** გმირების სამყარო კი არ არის **მთავარი, არამედ ამბის** თავგადასავლური თხრობა. **ავტორის** ყურადღება გადატანილია ნაწარმოების გარეგნულ მხარეზე. იგი ნაწილობრივ კანონ ხელოვნებისთვიდ დამახასიათებელ ხერხებს მიმართავს, რათა მკითხველი გაიტაცოს და დაამორჩილოს მხოლოდ თხრობის საშუალებით. ხოლო „ძლევის ქედი“-ს სიუჟეტი არ არის იმდენად მკაფიოდ შეკრული და გაცხოველებული, რამდენადაც ამ სიუჟეტის ფონია მხატვრულად მიმზიდველი და ოსტატურად გამოკვეთილი. **სამწუხაროდ,** ჩვენი პოეტი **ორივე** პოემაში **ამბის** მოყოლას აქცევს მთავარ **ყურადღებას. მოქმედება** პოემაში **კი არ სწარმოებს და** ხასიათების შეჯახება პოემაშივე **არ** ხდება, გმირების დრამატიული ცხოვრება უმთავრესად პოემის კულისებშია გადატანილი. ავტორი მოქმედებით **კი არ ხსნის** გმირების ხასიათს და თავგადასავალს, არამედ მოგვითხრობს. გმირების თავგადასავალს. **ამიტომ** პოემას დრამატიული იერი ეკარგება. მკაფიოდ **გამოკვეთილი** ხასიათები არ აღმართებიან ჩვენ წინაშე და ე. წ. შინაგანი დრამატიზმი შენელებულია, **გმირების** ხასიათებია ერთმანეთისაგან განმასხვავებელი, **გამოკვეთილი** თვისებები არ გააჩნიათ; „ძლევის ქედში“ სუეტის გარეშე მდებარე კავკასიის მონუმენტური პეიზაჟები ავტორს შესანიშნავად აქვს დახატული, იგი ჩვენზე ღრმა ზედგავლენას ახდენს და ჩვენს პატრიოტულ გრძნობებს აღაგზნებს ხოლმე, მაგრამ პოემის სუეტს აკლია ექსპრესია და შინაგანი მღელვარება. გრ. აბაშიძის დამსახურება ის არის, **რომ** პირველმა გადადგა გაბედული ნაბიჯი **და** თავისი პოემების „გიორგი მეექვსის“ და „ძლევის ქედის“ მეშვეობით სუეტიანი პოეტური ეპოსის შექმნა სცადა.

პოემას სჭირია დიდი პოეტური სამყარო, მაღალი შინაარსი და ფორმის დიდი განცდა. ჩვენ წინათაც გვქონია პლაკატური იერის მატარებელი პოემები. მაგრამ მათ აცოცხლებდა უშუალობა პოეტური განცდისა. დღეს ეს უშუალობა და ლაპიდარობა პოეტური გრძნობისა ნაწილობრივ დაიკარგა. და მისი ადგილი ლირიულმა ხასიათებმა დაიკავეს. დღევანდელ პოემებში სინამდვილიდან აღებულ გმირების მოქმედება კი არ არის მთავარი, არამედ ავტორის შთაბეჭდილების გადმოცემაა პოემის მასულდგმულებელი. ეს ეპიური აზროვნების მაჩვენებელი ვერ იქნება, საერთოდ ჩვენში პოეტურ ეპიურ აზროვნებას დიდი ტრადიციები გააჩნია. შეიძლება ითქვას, ბევრი ევროპელი ერი, მოწინავე კულტურის მატარებელი ხალხი, თავისი პოეტური კულტურით ვერ ამოუდგება ქართველ ხალხს. მხოლოდ ჩვენი დიდი კლასიკოსების მემკვიდრენი ჯერ-ჯერობით ვერ აბერხებენ წარსული პოეზიის მაღალ რეგისტრებს მიუახლოვონ პოეტური სიტყვა. უნდა ითქვას, ჩვენი პოეტები პოემებს ვერ ასრულებენ; ი. მოსაშვილმა, ი. მაშაშვილმა, ი. აბაშიძემ და სხვებმა ჯერ კიდევ ომამდე დაწყებული პოემები ვერ დასრულეს. მეორე მხრივ ჩვენი ლირიკოსები არ ცდილობენ ეპოსში სცადონ თავის პოეტური ხმა. ალ. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, გალ. ტაბიძე არ ცდილან შეექმნათ ნამდვილი ეპიური ნაწარმოები. ჩვენ ფრანგული პოეტური კულტურის მონათესავე ხალხი არა ვართ, სადაც, სენ-ჟიკტორის თქმით, პოეტური ეპიური გენია ორიანდის სიმღერის შემდეგ ვერ გამოამჟღავნა დამწერლობითმა პოეზიამ; ჩვენმა უდიდესმა წინაპარმა შოთა რუსაველმა ეპიურ და ლირიულ მეტყველების შერწყმით შექმნა ეპოსი, მაგრამ ხალხმა ისინი საკუთარ გულისთქმად მიიღო და შეუმჩნევლად ხალხურ პოეზიაში ჩაურია.

შანშიაშვილის ფოლკლორული იერი ფონია ნაწარმოების და იგი გარეგნულ ხალხურ იერს აძლევს ნაწარმოებს, მაგრამ თუ დაუკვირდებით ალ. მაშაშვილის პოემა „ფიცის“ შინაგან სამყაროს, იქ პოემის შინაგანი ბუნებაა პლაკატური. ა. მაშაშვილის „ფიცის“ ზოგიერთი სახეები ზღაპრულად არის დახატული. მაშაშვილს თექსმეტი რაინდი გამოჰყავს, რომლებიც სქემებს წარმოადგენენ. ესენი კი არ ცხოვრობენ, **არამედ ზღაპრული** გმირების დარად მოქმედებენ. თუ ჩვენ გვინდა მიიხლოვება ფოლკლორულ სახეებთან, მაშინ უნდა ვისწავლოთ როგორ სარგებლობენ ჩვენი კლასიკოსები ფოლკლორით. ვაჟა უპირველესად ცხოვრებიდან აღებულ ადამიანებს ფოლკლორულ თვისებით აჯილდოვებდა, ე. ი. ცალკეულ პოეტურ სახეს ახალხურებდა და მას ზოგად ხასიათს აძლევდა. იგი არაჩვეულებრივ ზღაპრებიდან აღებულ სახეს რეალურ ცხოვრების სურათში არ ამოქმედებდა. ამგვარი ზღაპრული სახეები ვერ სტოვებენ მხატვრულად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას. ეს ჩვენი სამამულო ომში გამომჟღავნებული ხასიათების დახატვა კი არ არის, არამედ მისი ბუნდოვანი წარმოდგენაა.

უსაგნო ლირიკა და მხატვრული ოსტატობის საკითხები

ზოგიერთმა ამხანაგმა წარმოიდგინა, რაკი ომი დასრულდა,— ეხლა სამამულო ომზე წერა უკვე საჭირო არ არის, არამედ რაღაც განყენებულ თემებზე უნდა იწერებოდეს პოეტური ნაწარმოებები. ამ დაწყობილებას მეთაურობს ჩვენი ნიჭიერი პოეტი ალიო მაშაშვილი. მისი უკანასკნელი ლექსები თავისი შინაარსით ძლიერ ბუნდოვანია და წარმოადგენს „უსაგნო პოეზიის“ გადამღერებას. ლირიკაში, რასაკვირველი, მთავარი გმირი, ე. ი. ლირიული პერსონა, თვითონ ავტორია. ჩვენ ვიცით, რომ ბარათაშვილის ლირიკაში თვითონ ბარათაშვილის სულიერი ზრახვებია გამომჟღავნებული, მისი პოეტური ინტონაცია პირადულია, მაგრამ იგი თავისი სულიერი სამყაროთი ჩვენი ხალხის სულიერ ზრახვების გამომჟღავნებელია და იგი თვითონ ხალხის ცენტრალური ფიგურაა, იგი თავისი ლირიკული ნაფიქრალით ამაღლებს მკითხველს და თავის პროოვნების მკითხველისათვის უაღრესად საყურადღებო და მიმზიდველად ხდის. პოეტი მრავალი კუთხით აშუქებს თავის სულიერ სამყაროს და შეჰყავს მკითხველი ფილოსოფიურად ამაღლებულ და განზოგადებულ პიროვნულ სამყაროში. ასეთია ლერმონტოვი, ტიუტჩევი და სხვა მრავალი. მაშაშვილის პირადული სამყარო ეპიზოდურია და მისი პოეტური ხმა მას ვერ ხდის საინტერესოდ; როცა პოეტი გარეგან ქვეყანას სტოვებს და უნდა ჩვენ მოგვიხიბლოს თავის პირადული ბუნებით, მაშინ ის სათანადო სიმდიდრეს ვერ პოებს თავის სულში; მისი პირადი სულის სიმღერები ტრივიალურია და გაცვეთილი. იგი მოწყვეტილია გარემოს და საზოგადოებრივი ზრახვების შემცველი სულიერი დრამატიზმი მას არ გააჩნია. მაშაშვილი უნდა დაუბრუნდეს თავის ხმას, რომელიც მან გამოამჟღავნა თავის ლექსებში „ჰიმნი სამშობლოს“ და „სამშობლო ბელადისა“. ამ ლექსებში სჩანდა მახვილი პათოსი და პოლიტიკური ალღო. მართალია, რიტორიკა იქაც ეტყობოდა მაშაშვილს, მაგრამ ამ ლექსებში იგი ნამდვილ გრძნობას ამჟღავნებდა და თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ამას წინად პოეზიის შესახებ გამართულ დისკუსიაზე ვიქტორ გაბესკირიამ ცუდი სამსახური გაუწია მაშაშვილს. მან შეაქო მაშაშვილის ლექსი „თეთრი ქალწული“ და ამით გაამხნევა იგი. ეს ლექსი მაშაშვილის უკანასკნელ ნამუშევრებში ყველაზე უარყოფითი მოვლენაა. მაშაშვილის „თეთრი ქალწულის“ შინაარსი ჩემთვის გაუგებარია და მისი პოეტურ სამყაროო მიუწდომელი. როდესაც კონსტ. ჭიჭინაძე, ა. ქუთათელი, შ. აფხაიძე, ან მაყვალა მრევლიშვილი სწერენ ლექსს სერაფიტის მესახებ, ჩემთვის ლექსის საგანი ცნობილია და გასაგებია. სერაფიტის მიერ გამოწვეული პოეტური ასოციაციები ჩემთვის ადვილი მისაწვდომია. ჩემთვის გასაგებია **ალ. ბლოკის** „ქლეოპატრა“ და მისი ლექსი „ნეზნაკომკა“. ბლოკის ამ ლექსებში გამომჟღავნებულია ავტორის დეკადენტური პოეტური კონცეპცია. ღვინით დათრობა—საფუძველი პოეტის მიერ შექმნილ განყენებულ სამყაროსი, აგრე იბადება უცნობი ქალის მოჩვენება და ახალ რეალობად იქცევა პოეტისათვის. იგი რეალისტური სურათოვნებით არის გადმოცემული ავტორის მიერ და უცნო მოჩვენება რეალურ არსებად არის ქცეული. ამ ლექსში ავტორის სიმთვრალე საფუძველია ამგვარი პოეტური ფანტაზიისა. მაგრამ მაშაშვილი დეკადენტი არ უნდა იყოს და ამასთანავე მის „თეთრ ქალწულში“ ან სიმთვრალე და რაიმე სხვა მიზეზი დასახელებული არ არის ამგვარი პოეტური შთაგონების საწყისად. ამიტომ მე ვერ გამიგია, საიდან იბადება „თეთრი ქალწული“ რით არის იგი მიმიგრებული ავტორის ფანტაზიასთან; ან რა იდეამ, რა პოეტურმა ასოციაციამ გამოიწვია იგი? მაშაშვილი იბრალებს მისთვის შეუფერებელ პოეტურ განცდებს და გატაცებულია სრულიად გაურკვეველი პოეტური სურათების ხატვით. როდესაც მაშაშვილს, ჩვენ საყვარელ პოეტს მივუთითებთ ამგვარ ჩავარდნებზე, იგი ნაწყენი გამოიყურება და დაჟინებით მიყვება მის მიერ არჩეულ შემცდარ პოეტურ გზას.

ზემოთ მე ვილაპარაკე პოეტურ ჟანრიდან ჟანრში და წერის რომანტიულიდან რეალისტურ მანერაზე გადასვლის შესახებ. თუ ამ მხრივ განვიხილავთ გალაკტიონ ტაბიძის წიგნს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ჩვენ ერთ სამწუხარო მოვლენას შევამჩნევთ; პოეტი როდესაც რომანტიული იერით გვისურათებს აჭარის პეიზაჟებს, ან ლირიულ სიმღერებს ამბობს, იგი კარგია და ძველი გალაკტიონის სიმღერები, მაგრამ ხალხმა ისინი საკუთარ გულისთქმად მიიღო და შეუმჩნევლად ხალხურ პოეზიაში ჩაურია.

ამ ლექსებიდან ერთ-ერთ ადგილზე ავტორი ამბობს: „ეს ბალადა ბელადისა, ეს ბალადა ბელადისა“. ეს ბალადა ბელადისა ... ეს ბალადა ... ეს ... ეს ... ეს

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმში

ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1944-45 წლებში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. სიმონ ჩიქოვანის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

დაიწეროს, ამისთვის ბრძოლის ველიდან დაბრუნება არ არის საჭირო, რადგან სამამულო ომში მთელი ხალხი მონაწილეობდა, ზოგი თავის ეზოში ებრძოდა მტერს და ზოგი თავის ციშკართან. ომიდან მთელი ხალხი დაბრუნდა და არა ერთი ან ორი თაობა, ბრძოლის ველიდან გამოვიდა არა ერთი და ორი კუთხე, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყანა, ჩვენში თითქმის არ არსებობს ცალკე ზურგის და ცალკე ომის თემა, რადგან არ არსებობს ცალკე ზურგისა და ცალკე ფრონტის ფსიქოლოგია. არსებობს საბჭოთა ადამიანის ხასიათი სამამულო ომის ხანაში. მთელი ჩვენი მწერლობა მონაწილეობდა სამამულო ომში და შემთხვევითი როდია, რომ უხუცესი პოეტები ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ვ. ქუჩიშვილი, ალ. აბაშელი, უფრო ახალგაზრდები—ალ. მაჭავარიანი, ირ. აბაშიძე და გრ. აბაშიძე, შემდეგ —ომიდან დაბრუნებული უმრწემესი პოეტი ლებანიძე, საერთო თვისებას ამჟღავნებენ ომის თემატიკაზე დაწერილ ლექსებში, ინდივიდუალურ თავისებურებასთან ერთად.

მე მაინც ვუბრუნდები მწერლობაში ახალი კადრების საკითხს. ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობამ ცხოვრება ბრძოლის ველზე დაიწყო, ათი წლის მანძილისათვის გამოზოგილი სულიერი თუ ფიზიკური ენერგია რამდენიმე თვეში დახარჯა და ჩვენი ახალგაზრდობა სიმწიფეში ძლიერ სისწრაფით შეავიდა. ახალგაზრდა პოეტები ცეცხლში ამღერდნენ და იქ დაიყენეს თავიანთი პოეტური ხმა. მათი ბუნება, რასაკვირველია, განსხვავებული იქნება ჩვენი წინა თაობის ბუნებისგან. ცხოვრების პირველი მთაბეჭდილებები მათ ბრძოლის ველზე მიიღეს და ომი მათი ბიოგრაფიის დაწყების პაჩენებელია. ისინი მართლაც ნამდვილ რეალისტურ, ყოფითი სურათოვნებით განიცდიან ომის სინამდვილეს, საბრძოლო ყოფას. ახალი რეალიზმის საფუძვლებს ჩვენ ვხედავთ მათ ნაწერებში. ქართულ მწერლობაში ბრძოლის ველიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდა პოეტებმა მიიპყრეს მწერალთა საზოგადოების ყურადღება; **ლებანიძის, ჯანგულაშვილის, გორგანელის და ოთარ ჭილაძის** შემოქმედებაში გამოვლინდა უშუალო შთაბეჭდილებით და მახვილი თვალით მიგნებული სურათები ცხოვრებისა. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან შემოქმედებითს მუშაობას და ახალ პოეტურ ნაკადს შემოიტანენ ქართულ პოეზიაში. ბრძოლის ველზე და ზურგში ნაყოფიერად მუშაობდნენ უკვე სახელდამკიცებული პოეტები **ალ. გომიაშვილი, მ. გელოვანი, შ. ამისულაშვილი, რ. მარგიანი, ი. ნინოშვილი, ალ. შენგელია, მ. მრევლიშვილი, ვ. მიქელაძე, მ. ბარათაშვილი** და **ან. თევზაძე.**

მე მინდა გამოვყო პოეტ **რევაზ მარგიანის** წიგნი **„ახალი ლექსები“**. ამ წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა დაწერილია **ბრძოლის** ველზე, ყოველ სტრიქონში იგრძნობა ბრძოლის ველის ნამდვილი განცდა, ჭეშმარიტი შთაგონებით გადმოცემულია მებრძოლის სულიერი ცხოვრება; წიგნი დაწერილია ერთი მთლიანი პოეტური სუნთქვით.

საბჭოთა სინამდვილე მხატვრულ პროზაში

სამამულო ომმა მკაფიოდ გამოავლინა საბჭოთა ადამიანის ხასიათი და მისი მაღალი მორალური დონე. ისტორიული ტრადიციების შეგნება, მოძმისთვის თავდადება და ამტანობა გაჭირვებაში, შეუდრეკელობა, სიმამაცე, ნათლად გამომჟღავნდა საბჭოთა ადამიანის ბუნებაში. ყველა ამ თვისებას ომამდეც ატარებდა ჩვენი ხალხი, მაგრამ საკუთარი ტანსაცმელივით დარად შეუმჩნეველი და უჩინარი იყო ბევრი რამ. სამამულო ომმა ყოველი კუთხე საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრებისა გამოამჟღავნა და მას ძლიერ ხილული, შესამჩნევი სახეობა მისცა. **ა. ტოლსტოიმ** თავის „რუსულ ხასიათში“ საბჭოთა ადამიანის სულიერი სილამაზის ერთი კუთხით გამოხატავა სცადა, ვინდა ვასილევსკიამ „უბრალო საყვარულში“ დაბრუნების თემას დაუკავშირა დაჭრილის სულიერი ზრახვანი. ომიდან დაბრუნებული ადამიანის მხატვრული აღდგენა ძლიერ მიმზიდველი თემაა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის. ომიდან დაბრუნებული ვაჟკაცის მხატვრულ სახეს დიდი დაძაბული ყურადღებით დაეძებს ჩვენი მკითხველი. ა. ტოლსტოის „რუსულმა ხასიათმა“ ყოველ რუსპუბლიკაში თავისი გამოძახილი ჰპოვა. ბრძოლის ველიდან სახე შეცვლილ, დაჭრილი მეომრის დაბრუნება მრავალ ვარიაციაში იქნა ჩვენს მწერლობაში აღდგენილი. **გ. ზატბერაშვილმა** პიესა **„ფიქრის გორაში“** გამოსთქვა თავისი მხატვრული აზრი ამგვარ ადამიანზე და იგი მთელი სამშობლოს სიმბოლოდ წარმოადგინა. მართალია, მებრძოლი ნაწილობრივ სახეშეცვლილია, მაგრამ უფრო მიმზიდველია და კიდევ უფრო საყვარელი. **ბორის ჩხეიძე** „ომგადახდილში“ ამავე საკითხს შეეხო და სცადა საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმაღლე ეჩვენებინა. მიუხედავად ზოგიერთი ყალბი და ხელოვნური ადგილისა, მოთხრობამ მკითხველის ყურადღება დაიმსახურა. ხსენებულ ნაწარმოებში დასმული საკითხები იმდენად ახლობელია ყოველ საბჭოთა ადამიანისათვის, რომ ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს არა თემის მხატვრული განსხვავებით, არამედ უმთავრესად საკითხის დაყენებით.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, დრამატურგები ჩქარობენ, როცა თანამედროვე თემას ეხებიან ისინი ეხებიან ჩვენი ცხოვრების მრავალ კუთხეს, მაგრამ მცირედი გამოკლებით მათი სიტყვა სრულყოფილი არ არის. ჩვენმა დრამატურგებმა **შ. დადიანმა, გ. მდივანმა, კ. კალანძემ, ლ. გოთუამ** და **ი. მეგრაძემ** და სხვებმა დასწერეს ახალი პიესები სამამულო ომის თემაზე, მაგრამ ამ ნაწარმოებებში ბოლო მათი მხატვრული შესაძლებლობა გამოჟღავნებული არ არის. მათ დაინახეს ჩვენი დიდი ცხოვრების მრავალი მხარე, მაგრამ ჯერ ვერ აღადგინეს მხატვრული სიძლიერით ის სინამდვილე, რომლის მოწმენი და მონაწილენი ჩვენ ვართ.

თანამედროვე ქართული პროზა ჩამორჩება დრამატურგიას. საერთოდ მხატვრული პროზა არის სიტყვა-ჯაზეულ მწერლობის წამყვანი დარგი; თუ მწერლობა ადამიანის სულის ინჟინერია, ეს სწორედ უპირველესად მხატვრული პროზის საშუალებით დასტურდება. მისი საშუალებით ისახება ახალი ადამიანის ხასიათი თუ ტიპი. ხალხის დიდი კულტურული დონის მაჩვენებელია მისი მხატვრული პროზა; რუსული და ფრანგული ლიტერატურის სიდიადე XIX საუკუნეში უპირველესად პროზაიკოსებმა დაგვიდასტურეს, იმავე საუკუნეში გერმანელებმა ვერ შექმნეს მხატვრული პროზა და მათი მხატვრული აზროვნება ჩამორჩა რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ მხატვრულ კულტურას. ხალხის ლიტერატურის სიდიადე ეპიურ მხატვრულ აზროვნების განვითარებასთან არის დაკავშირებული. ეს-საც დიდი პროზის კულტურა **არა** ქვს, მას არ გააჩნია **დიდი** მწერლობა. პოეზიაც მაშინ არის ძლიერი, როდესაც იგი მხატვრული პროზის შინაგან ბუნებას უახლოვდება და ზოგიერთ მის ელემენტებს თვისებს ე. ი. სიმღერიდან იგი ლირიულ აზროვნებაში და ეპიურ-თვალნებაში გადადის.

სამწუხაროდ, სამამულო ომის პერიოდში მხატვრული პროზა, არა ისტორიული შინაარსისა, ჩვენში ნაკლებად განვითარდა. მკითხველისათვის აუცილებელია სინამდვილიდან ამოღებული და მხატვრულად განზოგადოებული საბჭოთა ადამიანის სახე. იგი თხოულობს ეპიურ სურათებს და მწერლობის მაღალი მოვალეობაა შესარულოს დაკისრებული მოვალეობა. სამამულო ომის პერიოდში რუსულმა პროზამ, მართალია, უმთავრესად ნარკვევების სახით, ჩვენი ხალხის გმირული ცხოვრება ბრწყინვალე სურათებით დაგვახატა. შეძლება დავასახელოთ ტიხონოვის, გროსმანის, სობოლევის, გორბატოვის, კრიგერის, პეროვმაისკის და გოლოვანევსკის ნარკვევები. საქართველოდან მე დავასახელებდი გ. ნატროშვილის, ი. მოსაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, რ. ქორქიას და სხვების ნარკვევებს. ნარკვევების განხილვას ჩვენ ვერ შეუდგებით, ნარკვევი აუცილებელი და მოქმედი ჟანრია ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ უპირატესად და უპირველესად საჭიროა ნოველები, მოთხრობები და რომანები. ჩვენ გვინდა საბჭოთა სინამდვილის მაღალი სახეებით ამსახველი და დამადასტურებელი მწერლობა. ჩვენ გვეგონა, შარშან მაინც გაჩნდებოდა ჩვენი გმირული დღეების ამსახველი მხატვრული პროზა; შარშანდელი მოლოდინი

(ხშირათ გამოიყურება ცალმხრივად, გაუბრალებულად. მისი „სიყვარულის სამკუთხედი“ ამის დამადასტურებელია. ამ ნაწარმოებში მოთხრობილი შემთხვევა არ შეიძლება ჩვენი კინამდვილის დამახასიათებელ მოვლენად წარმოვიდგინოთ, მოთხრობაში ძლიერ გამარტივებულია ჩვენი ცხოვრება და სიყვარულის ბრძნობაც მსუბუქად წარმოდგენილია. აღსანიშნავია აგრეთვე ბელიაშვილის დაუდევრობა ისტორიითი მეტყველებაა მიმართ. მისი ნაწერი გამსჭვირვალეა და სადა, მაგრამ ბელიაშვილის ნაწერებს პროფესიონალი მწერლის ხელი არ ეტყობა; ა. ბელიაშვილმა მაღალი პოეტური მეტყველებით გამოკვეთა რომანი „ბესიკ გაბაშვილი“. და თანამედროვე მოთხრობებსაც სჭირია ამგვარი პოეტური ოსტატობით დამუშავება.

საერთოდ უნდა შეენიშნოთ: როდესაც ამხანაგები ისტორიულ მასალაზე მუშაობენ, მაშინ წერის მანერას, სიტყვიერ მასალის შერჩევას დიდ ყურადღებას აქცევენ, ცალკეულ დეტალებს დამუშავებას მეტ ენერგიას ანდომებენ, ხოლო თანამედროვე მასალაზე ამგვარივე ოსტატობას არ იჩენენ. მხოლოდ **ლეო ქიაჩელი** გამოირჩევა ამ შემთხვევაში, მისი ცხრაასხუთის მოთხრობები და მისი თანამედროვე თემაზე დაწერილი ნაწარმოებები ერთგვარი ოსტატობით და შთაგონებით არიან დაწერილნი.

სერგო კლდიაშვილის „სვანური ნოველები“ და ძველი იმერეთის სურათები დაწერილია მაღალი ოსტატობით, ბრწყინვალე, მერიმესებური, გამოკვეთილი სურათებით, ხოლო ძველ მიერ ომზე დაწერილ მოთხრობებს ასეთ მაღალ შეფასებას ვერ მივცემთ. ასეთივე შენიშვნა უნდა გაუკეთოთ ქართული სიტყვის ბრწყინვალე და დამსახურებულ ოსტატს **შალვა დადიანს;** მის მიერ სამამულო ომის ხანაში გამოქვეყნებული წიგნი ვერ დგას შალვა დადიანის პოეტური ძალის სიმაღლეზე. მისი „გიორგი რუსი“ სანიმუშოა ჩვენ მწერლობაში თავისი მხატვრული არტისტიზმით და ბრწყინვალე ქართული მეტყველებით, ხოლო სამამულო ომის ხანაში დაწერილ ნაწარმოებებიდან ეხლოდ მისი ნარკვევი „გამარჯვებაა“ ასეთ მაღალ რეგისტრებში აყვანილი.

სამამულო ომის საბრძოლო სურათები დიდი უშუალობით და ნამდვილი ლირიულ განცდით დაგვიხატა ომის მონაწილე გიორგი ნატროშვილმა. **გ. ნატროშვილის** „ქართველი ჯარისკაცი“, „მფრინავის ნაამბობი“ და „ბავშვი“ ძლიერი შთაგონებით აღდგენილი პოეტური შთაბეჭდილებაა, ავტორის ლირიული განწყობილება უჩინარად თანა სდევს მოთხრობილ ამბებს და იგი ძლიერ ინტიმურ იერით წარმოგვიდგენს საბრძოლო ცხოვრების ეპიზოდებს. გ. ნატროშვილის ნოველებში ნაარსი მიმზიდველი ბუნებრივობით ეითარდება და, შეიძლება ითქვას, ამ მოთხრობებით იწყება ჩვენში ნამდვილი მხატვრული აღდგენა საბრძოლო ცხოვრებისა. მე ერთხელ ვუთხარი ნატროშვილს და ეხლაც ვიმეორებ, რომ ამ სურათების მეტი ეპიურობით გაშლა შეიძლებოდა (არა მოცულობის მხრივ), შეიძლებოდა ნარკვეული იერი სრულიად მოქნილებინა ავტორს თავის ნოველებისათვის და ისინი უფრო მკაფიო კომპოზიციურ ჩარჩოებში ჩაესვა. კიდევ მეტი ოსტატობა და ისინი გახდებოდნენ საუკეთესო ნიმუშები ჩვენი მხატვრული პროზის; ავტორმა უნდა დაუკარგოს თავის მოთხრობებს ნარკვეული და ფრაგმენტული იერი და მათ დასრულებული ნოველების ხასიათი მისცეს.

სამამულო ომის ხანის ამსახველი პოეზიის განხილვა განსაკუთრებულ პრინციპზე დაგაფუძნე, ე. ი. მე ვეცადე პოეზია განმეხილა პოეტური აზროვნების განვითარების მიხედვით, როგორ გადაიქცა იგი მოწოდებითი და დეკლარატულ პოეზიიდან ცხოვრების ამსახველ რეალისტურ პოეზიად, რა სახეები შექმნა ჩვენმა პოეზიამ და რამდენად ჩარჩნენ ეს სახეები ჩვენს ხსოვნაში. სამწუხაროდ, ასეთი განვითარება მე ვერ შევნიშნე ჩვენს მხატვრულ პროზაში. პირიქით ომის პირველ დღეებშივე დაწერილი **ლეო ქიაჩელის** მოთხრობა უფრო რეალისტურია და ღრმა, ვიდრე შემდეგ წლებში დაწერილი მრავალი და მრავალი მოთხრობა. ამ ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ მოთხრობებში არ სჩანან მკაფიოდ გამოკვეთილი სახეები, მათი შინაგანი სამყარო არ გადადის სინამდვილეში და ვერ ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას საბჭოთა ცხოვრებაზე. ჩვენ გვინდა დიდი ნაწარმოებები და ჩვენი სინამდვილის ამსახველი დიდი პოეტური ტანი ყურათები. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენი მწერლობის პოტენციური შესაძლებლობა მეტი არ არისო. ეს არ იქნებოდა მართალი შენიშვნა; ომამდე ჩვენ დიდი მხატვრული პროზა გვქონდა. ჩვენმა პროზაიკოსებმა **კ. გამსახურდიამ, ლ. ქიაჩელმა, შ. დადიანმა, დ. შენგელაიამ, ს. კლდიაშვილმა, ალ. ქუთათელმა, ალ. ჭეიშვილმა** და სხვებმა შექმნეს დიდი საბჭოთა პროზა და ჩვენ გვინდა ეს დიდი შესაძლებლობა ჩვენი მხატვრული ეპიური აზროვნებისა მთელი ძლიერებით გამოვიყენოთ ახლანდელ ვითარებაშიც.

მე ზემოთ ვილაპარაკე იმ სულიერ თვისებებზე, რომლითაც შეიდა ჩვენი ხალხი სამამულო ომის ხანაში, მის სულიერ წყობაზე და გამძლეობაზე: საბჭოთა ადამიანის ახალ სულიერ თვისებებზე ჩვენს მწერლობას ჯერ არაფერი უთქვამს. ახალი ადამიანის შესახებ სქემატიური მხატვრული იდეა, მოცემული ვანდა ვასილევსკიას ან ბორის ჩხეიძის მოთხრობაში, ვერ მოიცავს საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს. სამამულო ომის ხანაში მოხდა ჩვენი სულიერი ცხოვრების დიდი აღმავლობა, მოხუცები გაჭაბუკდნენ და ჭაბუკები სიმწიფეში შეიდნენ, თითქო რამდენიმე თაობის შორის საზღვარი წაიშალა, და, საბჭოთა ადამიანმა რამდენიმე წლის განმავლობაში დასახარჯავი სულიერი თუ ფიზიკური ენერგია რამდენიმე თვეში დახარჯა, მაგრამ მას სულის ნაწილები კი არ დაუკარგავს, როგორც კ. ჭიპინაძის ლირიულ აღსარებაშია გამოთქმული, იგი ბრძოლის ველიდან სულიერად კიდევ უფრო გამდიდრებული და გამობრძმედილი გამოვიდა. საბჭოთა ადამიანის წარმოდგენა სამშობლო ქვეყანაზე კიდევ უფრო ნათელი გახდა და ხელშესახები შეიქნა. თერგთან თუ ვოლგასთან ბრძოლაში შესულმა ახალგაზრდა კაცმა ბრძოლით გაიარა მშობლიურ ქვეყნის თვალუწვდენელი სივრცეები, ნახა მისი ბუნება, მისი ყოფა, მისი ბედი და უბედობა, მისი მრავალფეროვნება, მთელ სამშობლოს თავის განცდებით და ცხოვრებით დაუკავშირდა, მისი სამშობლოს გეოგრაფიაც კი მისი ბიოგრაფიის ნაწილი გახდა; ეხლა წარმოიდგინეთ თქვენ დაბრუნებული ვაჟკაცის შთაბეჭდილებათა მარაგი, მისი სულიერი სიმდიდრე და მის სულიერ მოთხოვნილებას შეუერთეთ თქვენი შთაგონების ძალა.

ისტორიული თემა ქართულ მწერლობაში

ქართულ საბჭოთა მწერლობაში თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, დავიწყებულია საბჭოთა ადამიანი და ჩვენი სიტყვის ოსტატები ისტორიული წარსულის სახეების ძიებით და მათი მხატვრული აღდგენით უფრო არიან გატაცებულნი. ჩვენი მწერლობის ყოველ დარგში ისტორიული თემატიკაა გამეფებული. ლექსები, პოემები, რომანები, მოთხრობები, პიესები უმთავრესად იწერება ისტორიულ თემებზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს კრიტიკოსებმა იფიქრეს, თუ მთელი მწერლობა ისტორიულ სახეებისკენ მიმართავს თავის შთაგონებას, მაშინ ჩვენ შთაგონებასაც გადავიტანთ წარსულში და ჩვენი ძველი მწერლობის ნაწარმოებების განხილვას მოვანდომებთ ჩვენს მთელ ცოდნას და ძალსო. ამგვარად, უფრო კარგი და ხორცშესხმული ლექსები, რომანები, პოემები და კრიტიკული წერილებიც იბეჭდება წარსულზე და არა დღევანდლობაზე; ჩვენს ხალხს, კერძოდ ქართველ ხალხს, თავის ისტორიისადმი ყოველთვის ჰქონდა გულისყური მიპყრობილი; პატარა ხალხი ყოველ განსაცდელის ჟამს მძაფრი ყურადღებით არის მიპყრობილი თავის წარსულისადმი, სადაც იგი თავის არსებობის უფლებრივ საბუთს ჰპოულობს და თავის თავის ხილვა ისტორიულ ვრცელ მანძილზე მას აიარაღებს მომავლისათვის საბრძოლად; თუ წარმოვიდგენთ საქართველოს გეოგრაფიას განსაკუთრებულ ჩარჩოში მოქცეულს, გადავხედავთ ყოველ ნაბიჯზე ისტორიულ ძეგლებს, ჩვენ დავრწმუნდებით—ისტორია და დღევანდელი სინამდვილე არა სიმბოლოურად ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით, არამედ ხილულად ერთად მოთავსებულან; საქართველოში ისტორიიდან დღევანდელობამდე და დღევანდელობიდან ისტორიაში შეუმჩნევლად გადადის ადამიანი; ისტორიული თემა აქტუალური გახდა ჩვენს სინამდვილეში, საქართველოში მან ყველაზე მეტი ძალები მიიზიდა. ჩვენში სამწუხაროდ ამან წამხედურობის ხასიათიც მიიღო, ყოველი პოეტი თუ ბელეტრისტი სწერს ისტორიულ თემაზე ნაწარმოებს, იგი ყურადღებას არ აქცევს თავის სულიერ ცხოვრებას, —შეიძლება მისთვის ორგანულიც არ იყოს წარსულის განცდა, ის მაინც ცდილობს ვალი მოიხადოს ისტორიის წინაშე და ამხანაგს არ ჩამორჩეს.

ზოგიერთმა ამხანაგმა ისტორიული წარსული ნაწარმოების გარეგნულ სამკაულათ წარმოიდგინა, ერეკლეს და საკაძის ხმალი, ასპინძის ან მარაბდის ბრძოლა პოეზიაში გაელვებულია ზმირად მეტაფორის თუ სიერთოდ მხატვრული სამკაულის მსგავსად. წარსული ცხოვრებიდან ამოღებული მეტაფორების და მხატვრული შედარებების საშუალებით უნდათ დაფარონ ნაწარმოების პლაკატურობა და შინაგანი სიღარიბე. ისტორიული წარსული ყოველთვის ელვარებდა ქართულ პოეზიაში, XIX საუკუნის კლასიკოსებმა გააცოცხლეს საქართველოს ისტორიის მრავალი ფურცელი და ისტორიის სული დაუახლოვეს მომდინარე ცხოვრებას. ჩვენს მიერ ხილული წარსულიც ასევე ორგანულად უნდა გადმოდიოდეს ჩვენი სინამდვილეში და უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს სტალინურ ხანის ვაჟკაცურ ცხოვრებას. გმირული წარსულის მომღერლებმა **გიორგი ლეონიძემ, ი. გრიშაშვილმა. კ. კალანძემ, შ. აფხაიძემ, ხ. ვარდოშვილმა, ვ. გაბესკირიამ, დავ. გაჩეჩილაძემ** და **გ. ზატბერაშვილმა** შექმნეს მრავალი მკვეთრი სახეები და შემოიტრინენ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ისტორიული საუფლოების პოეტური აფეფრებით. ყოველი მათგანი ცალკე განხილვის ღირსია. **ალ. აბაშელის** „და როგორც ქარში თაფლის სანთელი“, **ი. გრიშაშვილის** „საიათნოვას ჭიანურით“ და **გ. აბაშიძის** „დროშები“ გმირული წარსულის ჩვენს სინამდვილეში გადმოსროლის ბრწყინვალე ცდებია. აბაშელის ლექსში განთებულია ირმის ნახტომივით თაფლის სანთელით განათებული ქართველი ხალხის ისტორიული გზა, ხოლო გრ. აბაშიძის ლექსი „დროშები“ მოგვითხრობს ქართველი ხალხის ისტორიული დროშების თაგადასავალს. მუზეუმში შენახული დროშები თრთიან ბრძოლის ყიყინის გაგონებაზე და **სტალინის** დროშას თანაუგრძნობენ თავისი ისტორიული ბედით. ამ ლექსების ლირიული გაზრები უკვე პოეტურია, მახვილ, გაუცხოებული აზრი ლირიული აღსარების საანაკვლოდ გვევლინება პოეტურ კომპოზიციაში. ხშირად აზრის ორიგინალური დაყენება, გრძნობის თავისებური გაელვება მელოდიის თუ სურათის მაგიერობას სწევს პოეზიაში. **ი. ჭავჭავაძის** „ბაზალეთის ტბაც“ თავისი პოეტური მოფიქრებით არის დიდი და იგი როგორც მითოლოგიური სურათი ცხოვრობს მკითხველის ხსოვნაში. ზემოდ დასახელებული ლექსებიც თავიანთი პოეტური მოფიქრებით ხაბლავენ მკითხველ საზოგადოებას და მათი პოეტური სახეები საბჭოთა სინამდვილის შესატყვისს შინაარსს გამოხატავენ. **ი. გრიშაშვილი** „საიათნოვას ჭიანურით“ უშუალოდ ეხმაურება ჩვენს გმირულ სინამდვილეს. ლექსი შესრულებულია გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი პოეტური გრძნობით გამთბარია ყოველი სტრიქონი. ამგვარად, ისტორიული თემა იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც იგი ეხმაურება დღევანდელობას და ორგანიული კავშირი აქვს მასთან. ჩვენს ხალხს სჭირია ისეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც დღევანდელობას ადასტურებს და ისტორია დღევანდელობაში შემოჰყავს. ისტორიული სახეები წარსულში უნდა მკაფიოდ ანათებდნენ და დღევანდელობაშიც გადმოდიოდნენ ბუნებრივად. ისტორიული პიროვნება არა მარტო წარსულში ჩასმული ბეჭდის თვალივით უნდა ელავდეს, არამედ ის უნდა იყოს დინამიური სახე, რომელიც დღევანდელობამდე მიაღწევს და დღევანდელობაშიც მნათობელად ღარჩება. თუ ისტორიული ნაწარმოები დღევანდლობით არ არის ახმიანებული, იგი მკვდარი მასალაა და ჩვენთვის არ არის საყურადღებო. ისტორიულ გმირს არ შეუძლია გაცოცხლდეს თანამედროვეობაში, თუ ავტორმა მისი მონათესავე ხასიათი ვერ იპოვა თავის სინამდვილეში, ავტორმა უნდა წარმოიდგინოს თავისი ისტორიული გმირის თანამედროვე ვარიანტი. ისტორიული წარსული ყოველი ჩვენთაგანის ბიოგრაფიაა და მას კერის სითბო

რაიონული თეატრების დათვალიერება

საინტერესო კოლექტივი

—თელავი ძველთა-ძველი ქალაქია. დიდ წარსულსა და თანამედროვეობა დაუფლავ ზრუფვას მასზე შეესაბამები კვალი დაუმჩნევია. იგი გხიბლავთ თავისი მშვენიერი ძველებრეობით, ისტორიული ძეგლებითა და იმ დიდი ეკონომიური და კულტურული მიღწევებით, რომელიც მოიპოვა უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვართაგანი არის სახელმწიფო თეატრი. ნამდვილი თეატრი ეს საბჭოთა ხელისუფლებამდე არ არსებობდა. მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლება გახდა მტკიცე საფუძველი სახელმწიფო თეატრის შექმნისა. ახლა თელავის სახელმწიფო თეატრი რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე თეატრია, რომელსაც განვითარების უდიდესი პერსპექტივები აქვს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ხიბერი კოლექტივისაგან შესდგება, არამედ, რაც მთავარია, იმიტომაც, რომ მას ჰყავს კულტურული მაყურებლის დიდი მასა.

თელავი ნამდვილი თეატრალური ქალაქია. გაოცებთ ის დიდი ინტერესი და სიყვარული, რომელსაც იჩენს ადგილობრივი საზოგადოებრიობა თავისი თეატრისადმი. ამ ინტერესის მთავარი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თეატრი კარგ კულტურულ მომსახურებას უწევს მოსახლეობას და მისი სპექტაკლები საკმაო მხატვრული გემოვნების სიმაღლეზე დგანან.

დათვალიერების პერიოდში თეატრმა გვიჩვენა ოთხი სპექტაკლი: ავქ. ცაგარელის „ციმბირელი“, გ. ერისთავის „ყვარყვარე თათაბაგი“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (დადგმა ვ. ჩელთისპირელისა) და გ. დარსპანაშვილის „არინა“ (დადგმა ავტორისა). სპექტაკლების უმეტესობა რეჟისორულად დამაკმაყოფილებლად არის მოფიქრებული. თეატრი ძირითადად აღწევს კომპონენტთა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს პიესის დედაზრის რელიეფურ სცენურ გამოვლენას. ადგილი არა აქვს უხეშ დამახინჯებებსა და გადახვევებს პიესათა ავტორების ძირითადი შთანაფიქრებისაგან. არაუშავს სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებასაც (მხატ. დ. ბალარჯიშვილი, მ. შამანაური, ი. ჯავჯანიძე). არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით მხატვრები ერთგვარ ეფექტს აღწევენ, მაგრამ ყოველთვის ვერ ინარჩუნებს სტილის მთლიანობას, ფერებისა და ნივთების შერჩევაც ყოველთვის არ ეფარდება სპექტაკლის ხასიათს, არ ექვემდებარება საერთო მოთხოვნილებას („ციმბირელი“, „არინა“).

მთავარი ღირსება თელავის თეატრის სპექტაკლებისა ის აქტიორთა გულწრფელ თამაშში უნდა ვეძიოთ. მათ მიერ შექმნილი სცენური ხასიათები აღბეჭდილია ბუნებრივი აქტიორული ნიჭითა და უშუალობით. ასეთები არიან ს. ბეჟანიშვილი (რესპ დამს. არტ.), ვ. ჩელთისპირელი, პ. ახვლედიანი. ალ. კუპატაძე, ნაპოლეონი, ლ. მარკოზაშვილი, მ. ღაღაშვილი, ქ. მაჭავარიანი, ქ. კეკლიშვილი, გ. მამუჩაშვილი, ი. პაპაიანი, ბ. ბეგიჯანოვი, ვ. მიისურაძე, შ. თარხანოვი, მ. ძჭედლიშვილი, ლ. კირაკოსიანი, გ. მანველოვი, ი. ჭინჭარაშვილი. ძსახიობთა ერთი ნაწილის შემოქმედებაში იგრძნობა პროფესიონალიზმი (ს. ბეჟანიშვილი, ვ. ჩელთისპირელი, პ. ახვლედიანი, ალ. კუპატაძე, ნაპოლეონი). მათ მიერ შექმნილ სცენიურ სახეებში ბუნებრივ ნიჭთან აქტიორული ტექნიკაც სჩანს. მათი აქტიორული ოსტატობა ყოველთვის მეღავნდება შემოქმედებითს დამოუკიდებლობაში. უფრო ახალგაზრდა კადრებიდან ლ. მარკოზაშვილი, მ. ღაღაშვილი, ქ. მაჭავარიანი, ქ. კეკლიშვილი, გ. მამუჩაშვილი, ი. პაპაიანი და სხვ. წარმატებით მიისწრაფვიან ოსტატობის დაუფლებისაკენ, ისინი ცდილობენ თავიანთი ბუნებრივი მონაცემები გაამდიდრონ აქტიორული ტექნიკით და საკუთარი სახის გამომუშავებას მიაღწიონ. ამრიგად, აქტიორთა ძირითადი ნაწილი ცდილობს ყოველი ახალი როლის შესრულებისას თავისი შემოქმედება ახალი შტრიხებით გაამდიდროს. მაგრამ კვალიფიციური სამხატვრო ხელმძღვანელის უყოლობა ხელს უშლის ყოველმხრივად სრულყოფილი სპექტაკლების შექმნას და აქტიორთა შემოქმედებითი ცხოვრების სწორ წარმართვას, ახალგაზრდა კადრების ოსტატობის კანონზომიერ ზრდას. ზოგჯერ აქტიორთა მიერ საკუთარ ლაბორატორიიდან მოტანილი, დამოუკიდებლად მოფიქრებული სახეები, თუ ნუანსები მოქცეული არ არიან სპექტაკლის ერთ საერთო მიზანსწრაფვაში და დარღვეულია ანსამბლურობა მაშინ, როცა მისი მიღწევის შესაძლებლობა არსებობს.

საერთოდ, სუსტია ზრუნვა მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მათი პროფესიონალიზაცია უმთავრესად სტიქიურად ხდება. ამით ახსნება, რომ ერთ სპექტაკლში ცალკეული მსახიობი დიდ წარმატებას აღწევს, მეორეში იგი არა სდგას თავისი შესაძლებლობის სიმაღლეზე. ჩვენს მიერ ნახულ სპექტაკლებს, მათი მხატვრული ღირსების მიუხედავად, აკლიათ აგრეთვე სრული დახვეწილობა და მტკიცე კომპოზიცია. ზოგიერთი სპექტაკლი („არინა“) მოკლებულია დამაჯერებლობას. თელავის თეატრს ესაჭიროება კარგი სამხატვრო ხელმძღვანელი. ამის გარეშე იგი ვერ შეინარჩუნებს თავის მიღწევებს.

ერ. ასტვაცატუროვი

ხარაგოულის თეატრი

ხარაგოულის სახელმწიფო თეატრმა სარაიონო თეატრების დათვალიერების დროს უჩვენა სამი სპექტაკლი: ივ. ტურიაშვილის „ალაშტრახი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“.

ნაჩვენებ სპექტაკლებიდან შედარებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა „ყვარყვარე თუთაბერმა“. ამ სპექტაკლში ზოგიერთი მსახიობი შედარებით დამაკმაყოფილებლად ასრულებენ როლებს. პირველყოვლისა ეს ითქმის მ. კამკამიძეზე, რომელიც ყვარყვარე თუთაბერის როლს ასრულებს. კარგი მსახიობი პირველ მოქმედებაში, მაგრამ მას ბოლომდე თანაბარი სიძლიერით არ მიჰყავს როლი. გულთამზესთან შეხვედრის სცენებში იგი ვერ იცავს ზომიერებას; ცოცხალი ჰუმორით ანსახიერებს მსახიობი ლ. ბუაჩიძე ლირსას როლს. ახალგაზრდა მსახიობმა ო. აბაშიძემ კაკუტას როლში გვიჩვენა, რომ იგი უფრო მეტად სახასიათო მსახიობია და თეატრის ხელმძღვანელობამ ამ გზით უნდა წარმართოს მომავალში მისი მუშაობა.

სარეცენზიო სპექტაკლებს არ ეტყობათ სახელმწიფო თეატრისათვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმი. მსახიობებმა ალაგ-ალაგ არ იციან ტექსტი, არც დეკორატიული გაფორმება არის გემოვნებით შესრულებული.

ამ მხრივ სპექტაკლი „უნიადაგონი“ შედარებით კარგად არის მომზადებული (დამდგმელი მ. კამკამიძე). მსახიობები მ. კამკამიძე (ნესტორი), კ. აბაშიძე (გიტო), ელ. თხელიძე (ზურა) და პ. გიორგაძე (ელენე) დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ როლებს.

თანამედროვეობის ამსახველი პიესა „ალაშტრახი“ თეატრს თითქოს უკეთ უნდა გამოსვლოდა, რადგან პიესაში ნაჩვენებია ჩვენი დროის სურათები; ნამდვილად კი „ალაშტრახი“ ყველაზე სუსტი სპექტაკლია.

თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს მოეპოვება საშუალება, რომ მაყურებელს უფრო ღრმად დამუშავებული და შედარებით სრულყოფილი სპექტაკლები უჩვენოს; საჭიროა გულდასმით მუშაობა.

გივი გოგიჩაიშვილი.

ლიტერატურული კალენდარი

კირილე წუთისოფელი (ჯავახია)

(გარდაცვალებიდან 5 წლისთავის გამო)

უპრეტენზიო და უხმაურო, ჩუმი და ნაყოფიერი მშრომელი, მუდამ სოფელში, თავის საყვარელ ხალხში მოფუსფუსე და მზრუნველი, ხალხის ჭირ-ვარამის სიტყვით და საქმით გამზიარებელი—ასეთი იყო კირილე წუთისოფელი.

მისმა პატარა ნოველებმა, ესკიზებმა და მოთხრობებმა თავის დროზე შესაფერი გამოხმაურობა ჰპოვეს. ხოლო მათ შორის ყველაზე უფრო პოპულარობით სარგებლობდა ისტორიული მოთხრობა „მოჯალაბე“, რომელიც სამეგრელოში გლეხთა აჯანყების პერიოდს (1856-59) ასახავს.

იმის გამო, რომ ფსევდონიმიც გაუხსნელი იყო და ავტორიც ამგვარი ჩუმი და მოკრძალებული, ამ თხზულებას კინაღამ ახვა, — ქართულ ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ფიგურა — მოუძებნეს ავტორად. განსვენებულმა სიმონ ხუნდაძემ კირილე ლორთქიფანიძის დახასიათების დროს აღნიშნა: „მას (კირილე ლორთქიფანიძეს) ეკუთვნის მოთხრობა „მოჯალაბი“ 1914 წ. დაბეჭდილი „სახალხო გაზეთის“ დამატებებში კირილე წუთისოფელის ფსევდონიმითო“. (იხ. ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 378, თბილისი, 1931 წ.).

მართალია, მკვლევარმა ეს „ეცდომა შემდეგში გამოასწორა (იხ. ნ. ნიკოლაძე, ტ. მეორე, გვ. 415, თბილისი, 1933 წ.), მაგრამ ფსევდონიმი ავტორისავე თხოვნით მაინც გაუხსნელი დარჩა.

კირილე იესესძე ჯავახია (წუთისოფელი) დაიბადა 1872 წლის ივნისს 9(21) სენაკის მაზრის სოფელ გურძემში, მღვდლის ოჯახში. სწავლობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, (ახალ—სენაკში) და თბილისის სასულიერო სემინარიაში. მასწავლებლობდა სენაკის მაზრის სხვადასხვა სოფლებში (ძველი-სენაკი, სორტა, კოტიანეთი, ახალ-სენაკი). სამწერლო ასპარეზზე 90-იან წლებში გამოვიდა. ქართულ პერიოდულ პრესაში „ივერია“, „კვალი“, „მწყემსი“, „შინაური საქმეები“, „განთიადი“, „ცხოვრება“, „საქართველო“, „სახ. გაზეთი“, „იმერეთი“, „კოლხიდა“ „კირილე წუთისოფლელის, კ. ნ-ს-ლელის, Sორტელი Sტუმრის ფსევდონიმებით ზედიზედ თავსდებოდა მისი მოთხრობები, ნოველები, სტატიები და აგრეთვე კორესპონდენციები სოფლის ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

კ. წუთისოფლელის დაბეჭდილ თხზულებათაგან აღსანიშნავია აგრეთვე **„კონსტანტინე დადეშქელიანი“** (1912 წ. გაზ. „იმერეთი“, № 50-57)—ისტორიულ-დოკუმენტალური ნარკვევი; **„საალდგომო კაბა“** („შინ. საქმეები“, 1908); „დატანჯული მნათობი“ („საქართველო“ 1919 № 49) და სხვა წვრილ-წვრილი ნოველები.

დაუბეჭდავად დარჩენილთა შორის აღსანიშნავია:

1. **„ტახტის დამხობა“**—ისტორიული რომანი ორ ნაწილად; ნაწარმოები ასახავს სამეგრელოს უკანასკნელი მთავრების; დავით დადიანისა და ეკატერინე დედოფლის პერიოდებს. თხზულების მთავარი გმირები არიან: ლევან, დავით, ეკატერინე, გრიგოლ, კონსტანტინე და სხვა დადიანები; როსტომ, დავით ივანე და სხვა ჩიქოვანები, რაფიელ ერისთავი, უტუმიქავა, აჯანყების მოთავე თოდუები, რუსეთის მეფის გენერლები და ჩინოვნიკები, ხალხი და სხვა.

2. ისტორ. მოთხრობა **„ლევანის დრო“** ასახავს მე-17 საუკ. სამეგრელოს ძლიერი მთავრის ლევან მეორის ეპოქას;

მწერლის არქივში დაცულია აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა, მათი სხვადასხვა ვარიანტები, ისტორიული ხასიათის ნარკვევები, მიწერ-მოწერა, საბუთები და სხვა მასალა, რომელთა დროდადრო შერჩევით გამომზეურება საბჭოთა მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება.

კ. ი. ჯავახია (წუთისოფელი) გარდაიცვალა 1940 წლის 1 სექტემბერს, დაკრძალულია ქ. ცხაკაიაში.

სოლომონ ცაიშვილი

ხალი. სურათი მხატ. შ. მეტრეველისა.

ქრონიკა

გ. ლეონიძის „სტალინი“ ოსურ ენაზე

ოსმა პოეტმა კავკაზაგმა სთარგმნა გიორგი ლეონიძის პოემა — „სტალინი — ბავშვობა და ყრმობა“. თარგმანი იბეჭდება ოსურ გაზეთ „კომუნისტში“, რომელიც გამოდის სტალინირში. თარგმანმა ოს მკითხველთა წრეში დიდი გამოხმაურება და მაღალი შეფასება ჰპოვა.

პოემა „სტალინის“ თარგმანი ცალკე წიგნად გამოვა მიმდინარე წლის ოქტომბერში.

დოდო ანთაძის საღამო ჭუთაისში

16 ივლისს ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა რესპ. სახ. არტისტ დოდო ანთაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

პირველ განყოფილებაში თეატრმა უჩვენა სცენები დ. ანთაძის მიერ დადგმულ სპექტაკლებიდან: წარმოდგენილი იყო შ. დადიანის „გუშინდელნი“ (მე-3 მოქ.), „ნინოშვილის გურია“ (8, 9, 10, 11 და 14 სურათები) და ს. შანშიაშვილის „გიორგი საკაძე“ (მე-2 მოქ.).

საღამოს მეორე განყოფილებაში ქალაქის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ამხ. ა. კოპალაძის შესავალი სიტყვის შემდეგ ვრცელი მოხსენებით დ. ანთაძის შემოქმედების შესახებ გამოვიდა დოც. გ. სამხარაძე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რესპ. სახ. არტისტები შ. დადიანი და შ. ღამბაშიძე, წულუკი'ის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ლ. ჭელიძე, ალკა ქუთაისის ქალაქკომის მდივანი ამხ. ა. იმედაძე, რესპ. დამსახ. არტისტი ა. მურუსიძე, ვუსიკალური სასწავლებლის დირექტორი ნ. საყვარელიძე და მსახიობი შ. პირველი.

„ტირიფის ქვეშ“ აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში

აფხაზეთის ავტონომიურ სახელმწიფო თეატრის ქართულმა დრამამ ალ. ბალასანიძის „ტირიფის ქვეშ“ — ოსურ ენაზე მაყურებელს უჩვენა გრ. ბერძენიშვილის პიესა: „ტირიფის ქვეშ“ თეატრმა (დამდგმელი გ. გაბუნია) შეაქმნა ანიმატერესო სპექტაკლი, რომელიც კომპოზიციურად კარგადაა შეკრული.

ახალგაზრდა მსახიობმა მარო თბილელმა გვიჩვენა სოფლის ჰასუავლელის სადა, მაგრამ შინაგანი განცდებით აღსავსე ცოცხალი სახე.

კარგია მსახიობი ყურაშვილი ბეჟიკოს როლში.

დანარჩენ შემსრულებლთაგან მაყურებლის მოწონებას იმსახურებენ კ. ბოკუჩავა (ანდრო მელქაძე), ი. წერეთელი (ამბაკო). ვ ჩუბინიძე (ბათლომე), ო. კანდელაკი (ბუპი). თ. მაქარაშვილი (მარინე), ტ. ხორავა (ნესტორი) და სხვ.

ი. სტრუვეს „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ახალ სასწავლო წლისათვის გამოუშვებს სტრუვეს ად დიდ კაპიტალურ შრომას 35 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. ქართული თარგმანი ეკუთვნის მაქსიმე ბერძენიშვილს. წიგნის რედაქტორია გ. გოზალიშვილი.

ოსური ეპოსი ქართულად

პოეტები გ. ლეონიძე, ვ. გორგაძე და ს. ფაშალიშვილი ოსურიდან ქართულად სთარგმნიან ოსურ ხალხურ ეპოსს „ნართებს“, რომელიც შესდგება 14 ათასი სტრიქონისაგან. ხსენებული ძეგლის თარგმნა უკვე მთავრდება. იგი გამოცემულ იქნება მიმდინარე წლის დასასრულისათვის გ. ლეონიძის რედაქციით და მხატ. მ. პუგანოვის ილუსტრაციებით.

„ფიქრის გორას“ საჯარო განხილვა

ამ დღეებში გორკის სახ. კლუბში საქ. ალკა თბილისის მოლოტოვის სახ. რაიკომმა მოაწყო დისპუტი მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის ახალი სპექტაკლის — „ფიქრის გორას“ გარშემო.

მოხსენებით „ფიქრის გორა“ მარჯანიშვილის თეატრში — გამოვიდა დ. შამათავა. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა პიესის მხატვრულ ღირსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ „ფიქრის გორა“ გვიხატავს ჩვენი ადამიანების მდიდარ ფსიქოლოგიურ ქვეყანას. მომხსენებელი ფართოდ შეეხო დადგმას, მსახიობთა თამაშს და სპექტაკლი აღიარა მარჯანიშვილის თეატრის მორიგ მიღწევად.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს თ. სვანიძემ, ი. პავლიაშვილმა, გრ. ბერძენიშვილმა, ნ. იაკობაშვილმა, კ. ბობოხიძემ, კ. ჩოჩიამ და ბ. ჩხეიძემ.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ყუშიტაშვილმა დამსწრეთ მოუთხრო თუ როგორ განახორციელა პიესის დადგმა მარჯანიშვილის თეატრში. ავტორმა, გ. შატბერაშვილმა ილაპარაკა პიესის მთავარ მომენტებზე მუშაობის გარშემო.

ქართული ესგრადის თეატრის გასგროლები

საქართველოს ფილარმონიასთან არსებული ქართული ესტრადის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.

თეატრმა საგასტროლოდ მოამზადა ახალი პროგრამა. თეატრის დასში შედიან რესპ. სახ. არტისტი ს. ჟორჟოლიანი, რესპ. დამსახურებული არტისტები კ. კვანტალიანი, ს. თაყაიშვილი, ალ. გომელაური, მსახიობები მ. მგელაძე, ჟ. ბარბაქაძე, ს. შენგელია, მ. ბახტაძე.

თეატრის ხელმძღვანელია რესპ. დამსახურებული არტისტი კაკო კვანტალიანი.

რედაქციისაგან

„ლიტ. და ხელოვნ.“ № 18 (71)-ში მოთავსებულ შოთა ძაძიგურის წერილში — „ვეფაფშაველას „ხის ბეჭის“ ფაბულისათვის“—ტექნიკური მიზეზის გამო გამოტოვებულია შემდეგი ადგილი: „ხის ბეჭის“ თქმულების ეთნოგრაფიული პარალელებისა და ინტერპრეტაციების პირველი ცდა მოცემულია თინ. ოჩიაურის მოხსენებაში, რომელიც ავტორმა მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების. თ. ოჩიაური საყურადღებო დასკვნებს იძლევა, როგორც ქართული ეთნოგრაფიის, ისე ქართული ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით“.

ვანო ფულუკიძე

ავეტიკ ისააკიანი

ეს სამამული ომის დღეებში მოხდა. არაგაცას მთის ძირას გაშენებულ ერთ მოწინავე კოლმეურნეობას, რომელიც თურქეთიდან რამდენიმე ხნის წინად გადმოსულმა სასუნელმა სომხებმა დაარსეს, პოეტი ავეტიკ ისააკიანი ესტუმრა. მწერალმა აქ ნახა ძკვიდრად ნაგები ახალი ლამაზი სახლები, ზღვასავით მღელვარე, ფაქიზად მოვლილი ყანები, ხეხილის ბაღები, რომელსაც გარს ეხვეოდნენ მოზუზუნე ფუტკრები. პოეტს ყოველი სახლიდან მოესმა სიმღერა, რომელიც მას ამ კოლმეურნეთა თხოვნით დაეწერა. ის მიაბიჯებდა დინჯად, ღია კარებს ახლო, მხრებში ოდნავ მოხრილი, და მისი ჭკუანი, ოდნავ მოხუჯული თვალები ყველგან ხვდებოდნენ მასპინძელთა თაძამ, ძოძიძამ, ალერსიან თვალებს. წარმოსადეგი, მაგარი აგებულების სასუნელი ქალები, თითქოს ძველი ეპოსის ფერცლებიდან გადმოსულნი, არეკვდნენ აკვნებს, ანსახიერებდნენ და თამაშობდნენ იმ იდილიას, რომელიც ასე გულმართლად და მიამიტად არის მოცემული პოეტის სიმღერაში.

მარიეტა შაგინიანის ახლახან გამოქვეყნებული ნარკვევში („ნოვი მირ“ № 4, 1945 წ.) მოთხრობილი ეს ეპიზოდი მეტყველებს, თუ როგორ შეზრდია ხალხის სულს ავეტიკ ისააკიანის პოეზია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს რომ, ისააკიანი მთელი თავის შემოქმედებით ხალხს ეკუთვნის. მის ლექსებს მღერიან და მის პოემებს კითხულობენ არა მარტო სომხეთში, არამედ მთელს დედამიწაზე. ყველგან, სადაც ერთი სომეხი მაინც სცხოვრობს. მისი ნახვა, მასთან საუბარი სომეხს ბედნიერებად მიაჩნდა. უცნობნი შეხვედრისას მოწიწებით ჭუდს უხდიან მას, ბავშვები მხიარული ყიჟინით ეგებებიან პოეტს.

თუ როგორ ჩასწვდა ხალხის გულს პოეტის ქნარი, თუ როგორ მოიპოვა მან ხალხის ეს ღრმა სიყვარული, პასუხს ამ კითხვაზე გვაძლევს არა მარტო მისი პოეტური შემოქმედება, არამედ მისი ცხოვრებაც, რომელსაც ის გადმოგვცემს თავისი წიგნის ერთი ქართული გამოცემისათვის დაწერილ მოკლე ავტობიოგრაფიაში: „დავიბადე 1875 წელს ქალაქ ლენინაკანში (გუმბრში). ძველებურ პატრიარქალურ ოჯახში. ბავშვობა გავატარე ისტორიულ ძეგლებით ასე ვდიდარ შირაქის ველზე, ალფულ ყაზარაპატში. ჩვენს მამულში. შემდეგ მე ვიზრდებოდი არა ისე, როგორც მე მსურდა. ვსწავლობდი ლენინაკანში, ეჩმიაძინის აკადემიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში. გარეგნულად ჩემი ცხოვრება იყო ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი: ციხე, გადასახლება, ისევ ციხე, გაქცევა, დიდიხნის ემიგრაცია. არსებითად, შინაგანად ჩემი ცხოვრება იყო ყოველთვის მოუსვენარი, დაუდეგარი, დაუკაყოფილებელი: მუდმივი ნაღველი, გაუხარელი სიყვარული, ახლობელ მეგობართა დაკარგვა. საზოგადოებრივი და ნაციონალური უბედურება.

წერა დავიწყე ძალიან ადრე, როცა 12 წლისა ვიყავი, ჩემი საყვარელი მწერლობა იყო ყველა ხალხის ფოლკლორი, ბიბლიის ძველი ეპოსით დაწყებული. ჩემი ერთად ერთი ბედნიერება ის არის, რომ მოკეთსწარი და ჩემი თვალით ვნახე სომხეთის სახელმწიფოს შექმნა, ამის განხორციელებას მე მღელვარე ოცნებით ველოდი მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების დაწყების დღიდან“.

პოეტის ეს პატარა აღსარება იძლევა გასაღებს მთელი მისი შემოქმედების ასახსნელად და გასაგებად. ავეტიკ ისააკიანის თავისებურება გამოჩნდა პირველსავე წიგნში, რომელიც „სიმღერებისა და იარების“ სახელს ატარებს და რომელიც 52 წლის წინათ გამოქვეყნდა. ლექსების ამ პირველი კრებულით მკითხველის წინაშე წარსდგა რომანტიული აღტკინებით, სამშობლო ქვეყნის სიყვარულით, მშობლიური ბუნების ტრფიალებით ალსავსე, მეტად ფაქიზი და ნაზი ხმის ლირიკოსი. სიყვარულისა და ტანჯვის, უსაზღვროებისა და უკვდავების, თავისუფლებისა და სამშობლოს მარადიული თემები ისეთ ჰანგზე აეყარა ავეტიკ ისააკიანმა, რომ ამ ძველისძველ თემებს მისცა ეროვნული იერი და მარად უჭკნობი სიახლე. მისი პოეზიის თავისებურება კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით გაისმა „ალაგეზის ჰანგებსა“ და „აშოღის სიმღერებში“, რომელიც უმალვე გადავიდნენ ხალხში და ხალხის საკუთრებად იქცნენ.

ამ შესანიშნავმა პოეტურმა ქმნილებებმა მისცეს საფუძველი სომეხ ხალხს ეწოდებია ავეტიკ ისააკიანისათვის, ვარპეტი,—დიდოსტატი,—სახელი, რომელსაც წინათ სომხები არქმევდნენ ხუროთმოძღვრებს, ქალაქების, ციხე-სიმაგრეებისა და კოშკების სახელმოხვეჭილ მშენებლებს მართლაც, სიტყვის დიდმა ოსტატმა ავ. ისააკიანმა ააგო ულამაზესი შენობა, პოეზიის ხელოვნმქნელი ძეგლი, რომლის ყოველი აგური-ლექსი ჰოზელილია სისხლსა და ცრემლში, გამომწვარია მგზნებარე გულის ცეცხლში. ა. ისააკიანის პოეზია სომეხი ადამიანის სულის გამოძახილია, მისი მწვავე სულიერი ტკივილების გამომხატველი ამოკვნესაა. შეიძლება, არცერთი სომეხი ლირიკოსის შემოქმედება ისე არ გამოხატავდეს სომეხი ადამიანის, სომეხი ხალხის ისტორიულ ბედიღბალს, როგორც გამოხატავს ა. ისააკიანი.

მისი ადრინდელი ლექსებისა და პოემების ლირიკული გმირი იყო მზისგან გადამწვარ ქვიშიან უდაბნოებში, დედამიწის დიდ შარაგზებზე მარტოდ მოხეტიალე მწირი მოგზაური, უიღბო ყარიბი, რომელსაც თან ახლდა განუკურნავი მწუხარება დაკარგულ სამშობლოზე. თანამემამულეებს მოშორებული და მშობელ მიწა-წყალს მოწყვეტილი ლირიკული გმირი ისააკიანისა იმედსა და ნუგეშს მხოლოდ იმაშია ხედავდა, რომ მარტობის ქამს, მუდმივ თანამგზავრად და თანამესაუბრედ ჰყავდა ტანჯვითა და გმირული გრძოლებით აღსავსე მატიანე სომეხი ხალხისა. ხშირად ავ. ისააკიანს სამშობლო წარმოდგენილი ჰყავს მშობელ დედად, რომლის საალერსოდ და სანუგეშებლად პოეტი პოულობს უნაზეს და უსათუთეს სიტყვებს. სიყვარული მშობელი დედისადმი ლეიტმოტივად მიჰყვება ისააკიანის პოეზიას და ზოგჯერ ძნელი ხდება გარკვევა და მიჯნის გავლება, თუ სად გულისხმობს პოეტი ნამდვილ მშობელ დედას, სად სამშობლოს. მაგრამ ყველგან ისეთი ღრმა ადამიანური განცდა, ისეთი ინტიმური სითბო, ისეთი გულწრფელობა და სინაზე გამოსჭვივის, რომ მკითხველს არ შეუძლია აუთრთოლებლად წაიკითხოს ისინი.

ისააკიანის ლირიკული გმირის განწყობილებათა გამომხატველ ნაწარმოებების დაგვირგვინებას წარმოადგენს სახელგანთქმული პოემა „აბულ ალა მაარი“, რომლითაც მგოსანი ხარკს უხდის „მსოფლიო სევდის“ პოეზიას და რომელსაც სახეების სიმკვეთრით, სამხრეთის ბუნების კოლორიტული გადმოცემით, მცხუნვარე გადამწვარ უდაბნოების აღწერილობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს აღმოსავლურ პოემათა შორის. —აბულ ალა მაარი“ ეს არის მხილება და უარყოფა ძველი დახავსებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ეს არის მოწოდება განახლებისაკენ, მარადიული მისწრაფება, შეუნელებელი ქროლვა უკვდავი მზისაკენ, თავისუფლებისა და ბედნიერების სიმბოლოსაკენ.

ფერებისა და ბგერების მკაცრი შერჩევა, ეპითეტებისა და შედარებების სიზუსტე, თვალისმომჭრელი აღმოსავლური საღებავები და ჰიპერბოლები, რომელთაც მუდამ თან ახლავს სისადავე და გამჭვირვალობა, დაუცხრომელი სულიერი აღმავლობა, ამღერება და მუსიკალური სტიქია მისი პოეზიისა მკითხველის წინშლის უაღრესად თავისებურ პოეტურ სამყაროს. ამ სამყაროს საფუძველი მისცა ალექსანდრე ბლოკს ეთქვა: „ისააკიანი პირველხარისხოვანი ნიჭია. შეიძლება, ასეთი ნათელი და უშუალო ტალანტი არც კი იყოს მთელს ევროპაში“. ხოლო მისი პოეზიის სიბრძნემ, ტანჯვასა და ნაღველში, მძაფრ სულიერ ტკივილებში გამოწრთობილმა სიბრძნემ, ღრმა აზრების მაღალ მხატვრულ და მუსიკალურ სახეებში გამოხატვის იშვიათმა ნიჭმა მეორე დიდ რუს პოეტს ვალერი ბრიუსოვს ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ისააკიანი ერთ-ერთ ევროპელ პოეტად გვევლინება. ის იმავე დიდ ამის მსგავს ამოცანების გადაწყვეტას ისახავს როგორსაც სხვა ხალხების — ფრანგთა, გერმანელთა და რუსთა ლირიკოსები. მისი ლექსების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ რა დიდი ოსტატი ჰყავს ავეტიკ ისააკიანის სახით სომხურ ლიტერატურას“.

ავეტიკ ისააკიანის შემოქმედება დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე—ეს არის სომეხი ხალხის ტრაგიკული წარსულის პოეტური მატიანე და როგორც სომეხი ხალხი არასოდეს უარს არ იტყვის თავის წარსულზე, ასევე იგი არ დაივიწყებს ავეტიკ ისააკიანის ნაღვლიანი სიძლიერების გულის მომკვლელ, მაგრამ მაინც დამტკბობელ სტრიქონებს.

ადვილი მისახვედრია, თუ როგორ ამღერებოდა მამულის ბედ-იღბლით დამწუხრებული და სამშობლოს თავისუფლების მაძიებელი პოეტი, როცა მის სამშობლოს ცაზე აღმობრწყინდა მზე დიდი ოქტომბრისა.

მშობლიურ ნაპირებიდან შორს გარიყულმა, უცხო ქვეყნებში ხეტიალით მოქანცულმა დიდმა ლირიკოსმა პოვა ბედნიერება, იხილა განთავისუფლებული და აღორძინებული ახალი სომხეთი. შორეულ უცხოეთში პოეტს შეესმა ძახილი თავისუფალი სამშობლოსი და იგი უმალვე გამოეხმაურება მას დიდი პატრიოტის გულის პასუხით. იგი დაუბრუნდა თავის ქვეყანას და მეტი გზნებით აეყარა თავისი ჩანგი. ეხლა მის ჰანგებში გამოჩნდა მეტი სინათლე, მეტი მხნეობა და სიმტკიცე. ეს ჰანგები ცხადჰყოფენ რომ პოეტს ხეტიალს ბოლო მოეღო, რომ იგი თავს გრძნობს თავის სახლში, თავის მშობლიურ კერასთან, სცოცხლობს თავისუფალი შრომისა და ლაღი, მხიარული სიმღერების ქვეყანაში, პოეტიც ამღერდა ახალი ძალით. ძველ ტრადიციულ ჰანგებს შეუერთდა ახალი საბჭოთა ჰანგები. პოეტმა ახალი თვალით წარმოიდგინა თავის ქვეყნის წარსული და მის აწმყოს მისცა ისტორიული პოეტური დასაბუთება. ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ავ ისააკიანის პოემა „მგერი სასუნიდან“, რომელიც მხატვრულად აღბეჭდავს სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლას უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ და რომელიც სომხეთის თავისუფლების მაუწყებელი ეპიღოგით თავდება. თავისუფალ საბჭოთა სომხეთს პოეტმა უმღერა დიდი პათოსით და ტაცებით. ამ ლექსებში მან გამოხატა მთელი სომეხი ხალხის უღრმესი რწმენა, რომ სომხეთის ბედი განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ერების ბედთან, რომ წარსულში მრავალტანჯული სომეხი ხალხი ბედნიერებას მხოლოდ მოძმე ხალხების ოჯახში ჰპოვებს.

გასაგებია, თუ როგორ შეხვდებოდა პოეტი იმ საფრთხეს, რომელიც ევროპიის ფაშისტური ურდოების მზაკვრული თავდასხმის გამო დაემუქრა ჩვენს სამშობლოს. ჯერ კიდევ ამ ძუხანთურ თავდასხმამდე ავეტიკ ისააკიანმა პოეტური აღლოდინ განსჭვრიტა მოახლოებული მძაფრი ისტორიული ქარტეხილი. დიდი სტალინისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ლაპარაკობს სამშობლოს „იყვარულსა ჩაუქრობელ გრძნობაზე. პოეტმა იწინასწარმეტყველა, რომ